ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

ანი მურადელი დედის მოკვლის დროს შეურაცხადი იყო



რატომ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა ბალერინის მიმართ გვ.7

20 ივლისიდან
შიო გვეტაძე
მონანიება
ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ორშაბათი, 31 ივლისი, 2017 №179 (7414) ფასი: 50 თეთრი

„ირაკლი კობახიძეს სურს, პროპორციულ სისტემაზე 2020 წელს გადავიდეთ“

„ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ მთავარი არის საარჩევნო სისტემა და მისი ამოქმედების ვადები, რომ ამ საკითხზე მოხდეს შეთანხმება“

თენგიზ შარმანაშვილი: „ოპოზიციამ აქცენტი მხოლოდ ამ საკითხზე უნდა გააკეთოს“ გვ.2

გიგლა ბარამიძე: „ქართული ოცნება“ „ევროპულ საქართველოს“ თვითმმართველობის არჩევნებში ადგილებს დაჰპირდა“ გვ.3

„ცუდი არ იქნება, თუ არსებულ ვითარებას ივანიშვილი თავად გააანალიზებს“



იან კელი: „მაიკლ პენსს ექნება ძლიერი გზავნილი, რომ ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“ გვ.5



„საპატრიარქოში სპეცსამსახურების წარმომადგენლები დადიოდნენ“

რა ინფორმაციას მალავს პატრიარქის დაცვის უფროსის ყოფილი მოადგილე გვ.2

ვინ არიან საქართველოს ჯაშუშობისთვის გასამართლებული ქალები, რომლებიც პუტინმა შეიწყალა? გვ.5

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის მიცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავა გვ.7

ISSN 1987-9385

რუსეთს საქართველოსა და მოლდოვისთვის ერთი გეგმა აქვს მომზადებული? გვ.5

„ირაკლი კობახიძეს სურს, პროპორციულ სისტემაზე 2020 წელს გადავიდეთ“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი, პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე სამართლებრივ საკითხებში თენგიზ შარმანაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, არის თუ არა შესაძლებელი პროპორციული საარჩევნო სისტემის 2020 წელს ამოქმედება.

– ბატონო თენგიზ, რამდენად რეალურია, საკონსტიტუციო საკითხებზე სტრასბურში ვენეციის კომისიის შუამდგომლობით გაიმართოს დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის?

– ვენეციის კომისიის ეჭვს იწვევს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის ვადები. არის შანსი, რომ თუ ამის სურვილი იქნება, ეს საკითხი გადაიხედოს, ამოქმედდეს არა 2024 წელს, არამედ 2020 წელს. ძირითადად მსჯელობა და დიალოგი სწორედ ამ საკითხზე უნდა გაიმართოს. თუ ოპოზიციას სურს რეალურად შედეგის მიღება და მას აღელვებს საარჩევნო სისტემა, მაშინ მთელი ფოკუსირება სწორედ ამ საკითხზე უნდა მოახდინოს, როდის ამოქმედდეს პროპორციული საარჩევნო სისტემა.

– ოპოზიციამ დიალოგი მხოლოდ ამოქმედებაზე უნდა გამართოს?

– რა თქმა უნდა, თუ მას სურს, მიიღოს შედეგი, თუ სურს ოპოზიციას, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადავიდეს ქვეყანა 2020 წელს.

– კანონპროექტი ორი მოსმენით უკვე არის მიღებული.

– გასაგებია, რომ მიღებულია, მაგრამ მესამე მოსმენითაც რომ მოხდეს არსებული პროექტის მიღება, მაინც არის შესაძლებელი ცვლილებების შესვლა მხოლოდ ამ ნაწილში, ვინაიდან არჩევნებამდე ჯერ კიდევ არის დარჩენილი დრო, ეს შესაძლებელია.

– ხელახალი ინიცირებით?

– დიახ, მაგრამ მხოლოდ ამ ნაწილში. აქ არ არის საუბარი იმაზე, როგორც ახლა ამბობენ ოპოზიციის გარკვეული წარმომადგენლები, რომ პროცესი დაიწყოს ცარიელი ფურცლიდან და ა.შ. ეს შეუძლებელია.

ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ მთავარი არის საარჩევნო სისტემა და მისი ამოქმედების ვადები, რომ ამ საკითხზე მოხდეს შეთანხმება. ამიტომ გაუგებარია, რატომ უნდა დაიწყოს საერთოდ თავიდან პროცესი?!

– რამდენად წარმოგიდგენიათ, რომ ვენეციის კომისია იყოს შუამავალი პოლიტიკურ სპექტრს შორის, რომ მოხდეს შეთანხმება? თუ არის ასეთი პრაქტიკა?

– ასეთი პრაქტიკა არ არსებობს, მაგრამ არაფერი უდგას წინ, რომ ვენეციის კომისია დაგვეხმაროს ამ პროცესში.

მთავარია, მოხდეს შეთანხმება და შემდეგ ამ შეთანხმების განხორციელება კონსტიტუციის პროექტში. თუ საქმე იქამდე მივიდა, რომ ამ კონკრეტულ საკითხზე მოხდა შეთანხმება და შემდეგ სხვა საკითხები დადგება დღის წესრიგში, ახლა ეს დაგვიკმაყოფილეთო, ასეთ შეთანხმებას აზრი არ ექნება, ნდობა არ ექნება.

თენგიზ შარმანაშვილი: „ოპოზიციამ აქცენტი მხოლოდ ამ საკითხზე უნდა გააკეთოს“

– ფიქრობთ, რომ ოპოზიცია სხვა საკითხებსაც წამოსწევს?

– მე არ ვიცი, მაგრამ არაფერი არ არის გამორიცხული. უკვე არის საუბარი იმაზე, რომ მათ არ მოსწონთ პრეზიდენტის არჩევის ახალი წესი, მიწის საკითხის რეგულაცია, ოჯახის საკითხის რეგულაცია. ამ საკითხებზე ვენეციის კომისიას არცერთი უარყოფითი შეფასება არ გაუკეთებია.

თუ ეს საკითხები წამოიწევს საარჩევნოს სისტემის ამოქმედების შეთანხმების პროცესში, მაშინ ჩემთვის სრულიად ნათელი გახდება, თუ რა მიზანი ამოძრავებს ოპოზიციას.

– რა მიზანი შეიძლება ამოძრავებდეს ოპოზიციას?

– რომ მათ საკონსტიტუციო პროცესი პოლიტიკის ნაწილად აქციონ, რომ მათ პოლიტიკა აწარმოონ ამ ყველაფრიდან და არა ის, რომ ქვეყანას ჰქონდეს კარგი კონსტიტუცია. ოპოზიციას თუ უნდა, მართლაც 2020 წელს ამოქმედდეს პროპორციული საარჩევნო სისტემა, მაშინ მთელი კონცენტრირება ამ საკითხზე უნდა მოახდინოს.

– წინააღმდეგ შემთხვევაში პროცესი დასრულებულად გამოცხადდება თუ მაინც გაუჭირდება ეს ხელისუფლებას, რადგან მაღალი ლეგიტიმაცია არის საჭირო კონსტიტუციის მისაღებად?

– არა, გაჭირვებით არ გაუჭირდება. „მაღალი ლეგიტიმაცია“ არის ტერმინები.

– ამაზე ბუკიკიო აკეთებს აქცენტს.

– გასაგებია, მაგრამ, თუ სამართლებრივად ვისაუბრებთ, ყველაფერი გაწერილია კონსტიტუციაში, რამდენ დეპუტატს შეუძლია საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება, ცვლილება და ა.შ. საკონსტიტუციო კომისიის შექმნის აუცილებლობაც კი არ არის იურიდიულად საჭირო.

– მაგრამ ეს რამდენად იქნება დემოკრატიული?

– დიახ, სწორედ ამაზეა საუბარი, რომ იყოს დემოკრატიული პროცესის ნაწილი.

– ირაკლი კობახიძის განწყობა როგორია პროპორციული სისტემის ამოქმედების ვადებზე?

– ვინაიდან მე ბატონ ირაკლისთან ვმუშაობ, უშუალოდ მისი განწყობა ვიცი და შემიძლია გითხრათ, რომ მისი განწყობაა, პროპორციული სისტემა 2020 წელს ამოქმედდეს. ის ამის მომხრეა და ამას ხმამაღლა მოუწოდებდა გუნდში. სამწუხაროდ, ხდება ისე, როგორც ხდება, ყველაფერი ან არაფერი, ამიტომ ვამბობ, რომ ოპოზიციამ აქცენტი სწორედ ამ ერთ კონკრეტულ საკითხზე უნდა გააკეთოს.

„საპატრიარქოში სპეცსამსახურების წარმომადგენლები დადიოდნენ“

რა ინფორმაციას მალავს პატრიარქის დაცვის უფროსის ყოფილი მოადგილე

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პატრიარქის დაცვის უფროსის ყოფილი მოადგილე ტარას შავშიშვილი სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს. მისი თქმით, საპატრიარქოში სპეცსამსახურების თანამშრომლები დადიოდნენ. ზედმეტი კონკრეტიზებისგან თავს იმ მიზეზით იკავებს, რომ არ სურს, საქართველოს ეკლესიის დისკრედიტაცია მოხდეს.

თანამდებობიდან გამომდინარე, ტარას შავშიშვილისთვის ბევრი რამეა ცნობილი როგორც ციანიდის საქმეზე, ასევე საპატრიარქოში არსებულ ვითარებაზე.

რამდენიმე დღის წინ მან სასამართლოზე მისცა ჩვენება, ჩვენების მიცემის შემდეგ კი უკვე მედიისთვის გააკეთა კომენტარები. პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი კურიერთან საუბარში აცხადებს, რომ პატრიარქს დეკანოზ გიორგი მამალაძის გათავისუფლების სურვილი ჰქონდა, მაგრამ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს და გადააფიქრებინეს.

– ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელზეც მე შემიძლია ვისაუბრო, არის პატრიარქის დეზინფორმირება, რომელსაც ძალიან ხშირად ვაწყდებოდით. ძალიან ხშირად ხდებოდა ეს, რაც შემდეგ უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა საპატრიარქოს. ძირითადად ესენი იყვნენ საერო პირები, თუმცა იყვნენ მღვდელმთავრები, მათ შორის პოლიტიკოსებიც. ხელისუფლების წარმომადგენლები ძალიან ხშირად დადიოდნენ საპატრიარქოში.

როდესაც მამა გიორგი დააკავეს, უწმინდესს ჰქონდა სურვილი, რაღაცნაირად ეშუამდგომლა სასამართლოსთვის, რომ გამოძიება გაგრძელებულიყო, მაგრამ მამა გიორგი გამოსულიყო თავდებით გარეთ, შეიძლებოდა ეს ყოფილიყო მონასტერი ან სხვა ადგილი. ამაზე იყო საუბარი. შემდეგ გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, რომელსაც მათ შორის ესწრებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, საპატრიარქოს თანამშრომლები და შემდეგ ამ თემაზე საუბარი დამთავრდა, – აღნიშნავს პატრიარქის დაცვის უფროსის ყოფილი მოადგილე.

ის რიგი მიზეზების გამო უარს აცხადებს იმ პოლიტიკოსების გვარების დასახელებაზე, რომლებმაც, მისი თქმით, პატრიარქს მამა გიორგისთვის შუამდგომლობის გაწევა გადააფიქრებინეს.

მისი საუბრიდან ირკვევა, რომ საპატრიარქოს, პოლიტიკოსების გარდა, სპეცსამსახურების წარმომადგენლებიც სტუმრობდნენ. რა მიზანს ისახავდა მათი სტუმრობა, შავშიშვილი არ აკონკრეტებს და შემდეგი პასუხით შემოიფარგლება:

– საპატრიარქოს დისკრედიტაცია ჩემთვის ძალიან მტკივნეული თემაა. გარკვეულ დეტალებსაც ვერ დავაკონკრეტებ. ეს არა სპეცსამსახურების, არამედ საპატრიარქოს პრობლემა იქნება. ამ მომენტისთვის ეს შეკითხვა ღიად დავტოვოთ, შეიძლება დადგეს დრო, როდესაც ამაზე დეტალურად ვისაუბრებთ.

ციანიდის საქმეს ის დადგმულ სპექტაკლს უწოდებს. პატრიარქის დაცვის უფროსის ყოფილი მოადგილე ფიქრობს, რომ დეკანოზი გიორგი მამალაძე კარგად დაგეგმილი პროვოკაციის მსხვერპლი გახდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროკურატურას ეჭვები ტარას შავშიშვილის მიმართაც ჰქონდა. საგამოძიებო უწყებაში არ გამორიცხავდნენ, რომ მამა გიორგის ციანიდი სწორედ მან გადასცა.

საქმის პროკურორების თქმით, შავშიშვილი მამა გიორგის უახლოესი მეგობარია და ის დეკანოზს სხვადასხვა სასულიერო პირის დისკრედიტაციის მიზნით სტატიების მომზადებაში ეხმარებოდა.

ცნობისათვის, შავშიშვილია ის პირი, რომელმაც დეკანოზი გიორგი მამალაძე აეროპორტში მისვლამდე ნახა და სხვადასხვა ნივთი გადასცა.

შავშიშვილი ამ ფაქტს არ უარყოფს და ამბობს, რომ მართლაც ნახა დეკანოზი და მართლაც გადასცა რაღაც ნივთები. მისი თქმით, ეს იყო ღვინო და საიდენტიფიკაციო ბარათი.

პატრიარქის დაცვის ყოფილი უფროსი იმასაც ამბობს, რომ მამა გიორგის მისთვის ციანიდის შოვნა არასდროს უთხოვია. ის ასევე უარყოფს იმ ფაქტს, რომ დეკანოზს სხვა სასულიერო პირების წინააღმდეგ სტატიების მომზადებაში ეხმარებოდა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართული ოცნება“ „ევროპულ საქართველოს“ თვითმმართველობის არჩევნებში ადგილებს დაჰპირდა“

შორენა მარსაგიშვილი

გიგლა ბარამიძე: „მთავრობას სააკაშვილის დატუსაღება არ აწყობს“



„ცუდი არ იქნება, თუ არსებულ ვითარებას ივანიშვილი თავად გააანალიზებს“

რას აპირებენ სააკაშვილის ლობისტები, ვისი ბრალია ყოფილი ხელისუფლების გაცოცხლება, რა ინფორმაციები მიდის ივანიშვილთან, ვისგან და რა გარანტიები მიიღო გიგა ბოკერიამ? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი, დემოკრატიული მოძრაობის წევრი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

– ცოტა ხნის წინ თქვენ განაცხადეთ, რომ „ქართული ოცნება“ გარიგებაშია შესული და სააკაშვილის ექსტრადირებას არ მოითხოვს. ყოფილ პრეზიდენტს უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვეს. შემდეგი ნაბიჯი მისი საქართველოში ექსტრადირება ხომ არ იქნება?

– გარიგება ისევ ძალაშია და მეეჭვება, ამ გაჭირვებულებმა სააკაშვილის ექსტრადირება გაბედონ. რაც შეეხება სააკაშვილს, წლების წინ მას საერთაშორისო მაწანწალა ვუწოდე და მას შემდეგ, რაც უკრაინის მოქალაქეობა ჩამოართვეს, ოფიციალურად გახდა ამ ზედწოდების მატარებელი.

საქართველოს ხელისუფლებას ეს უპასპორტო კაცი შორს სჭირდება და არა საქართველოში ტუსაღად. ამას მიხვდა უკრაინის პრეზიდენტო პოროშენკო და გააკეთა ის, რაც გააკეთა. ახლა უნებურად ხდება ამ პოლიტიკური გვამის რეანიმირების მცდელობა. ეს ისე არ გამოვა, როგორც მას და მის ლობისტებს უნდათ, მაგრამ ძალიან აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. ექსკლუზივის სახით გეუბნებით, რომ მის ლობისტებს მილიონობით თანხა აქვთ გადახდილი იმაში, რომ როგორმე აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სააკაშვილზე რაიმე დადებითი ათქმევინონ მისთვის მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით.

აშშ-ის მაღალი წრეები სააკაშვილს ცოცხალი თავით არ იკარებენ. ამიტომ მისი ლობისტები იმაზეც მუშაობენ, რომ თეთრი სახლის წარმომადგენლებს მიშასთვის ხელი ჩამოართმევინონ. სულ ერთია, ეს სად მოხდება – ტუალეტთან, ბენზინგასამართ სადგურთან, მაკდონალდსთან. დააფიქსირებენ ხელის ჩამორთმევის ფაქტს და მერე ამას რომელიმე გავლენიან მედიასაშუალებაში გააპიარებენ – აი, ასე ხვდებიან პუტინთან მებრძოლ გმირს ამერიკაში.

გაკოტრებული სააკაშვილის რეანიმირების მცდელობას საქართველოშიც ექნება ადგილი. ამისთვის უკვე დაწყებულია სამუშაოები. საქართველოში მისი რეანიმირების პირველი მცდელობა საქართველოში აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტისას იქნება.

– შეგიძლიათ, უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რას უნდა ველოდოთ?

– სააკაშვილის დაფინანსებული არასამთავრობოები და მედიის წარმომადგენლები, ასევე მისი თანაპარტიელები აშშ-ის ვიცეპრეზიდენტს სპეციალურად მომზადებულ კითხვებს დაუსვამენ. მიღებული აქვთ დავალება, რომ პენსს უპასპორტოზე რაიმე დადებითი ათქმევინონ.

საერთაშორისო მაწანწალის გარემოცვაში აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, თუ სად უფრო იოლად მოხდება მისი რეანიმირება – უკრაინაში თუ საქართველოში. გადაწყვიტეს, რომ ჯობია, უკრაინაში დააბრუნონ.

პირველ ეტაპზე შეეცდებიან, სასამართლოს ძალით დაუბრუნონ მას მოქალაქეობა. ეს თუ არ მოხდა, შეეცდებიან, მაიდნის მსგავსი რაიმე მოაწყონ. ამის გასაკეთებლად ჯერ ხალხი არ ჰყოფნით. ამიტომ მიდის აქტიური მოლაპარაკებები იულია ტიმოშენკოსთან. სააკაშვილის გუნდი, უკრაინაში ვინც კი დედამ დაწყევლა, ყველასთან ცდილობს საერთო ენის გამონახვას.

– თქვენი საუბრიდან გამომდინარე, სააკაშვილს საქართველოში არ უნდა ველოდოთ.

– ხელისუფლებას მისი დატუსაღება არ აწყობს. მისი ლობისტები მიიჩნევენ, რომ უმჯობესია, ის უკრაინაში დაბრუნდეს. სამწუხაროა, რომ საქართველოში კიდევ არის ხალხი, ვინც მის დაბრუნებას განიხილავს. როგორ შეიძლება, იმ კაცის დაბრუნება გინდოდეს, რომელიც უმაღლესი მთავარსარდალი იყო და მიწაზე იფორთხა. მის სისხლიან საქმეებზე აღარაფერს ვამბობ. მთავარი ის არის, რომ კაცმა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტი იყო, საქართველოს მოქალაქეობაზე თქვა უარი მხოლოდ იმიტომ, რომ უცხო ქვეყნის ჩინოვნიკი გამხდარიყო.

ჩვენი მოსახლეობა ბონია მეწისქვილის სინდრომით არის დაავადებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც სააკაშვილის შესაძლო დაბრუნებაზე იქნებოდა საუბარი და არც სისხლიანი რეჟიმის იდეოლოგები გაბედავდნენ ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე მარშის მოწყობას დევიზით „არა ფაშიზმს“.

– თქვენ გარდა, ამ მარშთან დაკავშირებით კიდევ ბევრმა გამოხატა უკმაყოფილება. რატომ ამახვილებთ ამ მსვლელობაზე ამხელა ყურადღებას? ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ნაციონალებმა გაცილებით მრავალრიცხოვანი აქციები გამართეს რუსთაველის გამზირზე.

– ჩვენდა სამწუხაროდ, ნაციონალებმა მართლაც გაბედეს რამდენჯერმე პარლამენტის წინ აქციის გამართვა. ეს უკანასკნელი იმით იყო აღმაშფოთებელი, რომ სისხლიანი რეჟიმის იდეოლოგების ლოზუნგი იყო „არა ფაშიზმს“. სწორედ ეს არის ერის ავადმყოფობის ნიშანი. ჩვენი საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ბოკერიას უფლება აქვს, ასეთი ლოზუნგები წამოსწიოს.

ამ ადამიანის მიმართ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სერიოზული პრეტენზიები იყო. მას თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და მილიონობით ლარის გაფლანგვას ედავებოდნენ. მისი გვარი ყველა სისხლიან საქმეში ფიგურირებდა. ხელისუფლებამ მას პასუხიც კი ვერ მოსთხოვა, ეგენი რომ უდღეურები არიან, გავიგე, მაგრამ მოსახლეობას რაღა დაემართა, რომ სისხლიანი რეჟიმის ავტორი მარშებს უწყობს.

როცა ასეთი დამოკიდებულებაა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ერთ დღეს სააკაშვილი საქართველოში დაბრუნდება და კენჭს იყრის.

– ამის ალბათობა არის?

– რატომ არ არის. სადაც სისხლიანი რეჟიმის იდეოლოგები ქუჩაში თავისუფლად დაშლიგინებენ, იქ სააკაშვილმაც რომ გაიშლიგინოს, რა პრობლემაა. ისევ ფაშიზმს დავუბრუნდები და, როცა ამ ტერმინს ახსენებენ, იქნებ დააკონკრეტონ, რომელ ფაშიზმს გულისხმობენ. სიტყვა ფაშო იტალიურია და ერთობას ნიშნავს. უფრო ღრმა ფესვებში თუ ჩავალთ, ამ სიტყვას ლათინური წარმომავლობა აქვს და ფაციოს-იდან მომდინარეობს. რომელიც როზგებს ნიშნავს. ამით ლიქტორები დადიოდნენ და ქალაქის კანონმდებლობას ამტკიცებდნენ.

ყოფილი ხელისუფლება „ქართულ ოცნებასთან“ არის გარიგებული. თავიდან გვიკვირდა კოაბიტაცია. ახლა მათ შორის ყოველგვარი ზღვარი წაიშალა. „ოცნებას“ განსაკუთრებული სიახლოვე „ევროპულ საქართველოსთან“ აქვს. ხშირად მათი გარჩევაც კი ძალიან ძნელია. ისინი ერთსა და იმავეზე საუბრობენ, ერთნაირი ქმედებები აქვთ, პარლამენტში ამა თუ იმ საკითხის კენჭისყრის დროსაც ერთნაირ პოზიციაზე დგანან.

რაც მთავარია, „ევროპულმა საქართველომ“ იცის, რომ თავიდან თმის ერთი ღერიც კი არ ჩამოუვარდება. საამისოდ გარანტიები აქვთ აღებული. მეტსაც გეტყვით, მათ დამატებითი გარანტიები მიიღეს.

– რა დამატებით გარანტიებზეა საუბარი და ვისგან მოდის ეს გარანტიები?

– ვისგან მოდის და „ქართული ოცნებისგან“. კიდევ იმისგან, ვინც „ოცნების“ უკან დგანან. მიუხედავად იმისა, რომ „ევროპულ საქართველოს“ არანაირი რეიტინგი და ხალხის მხარდაჭერა არა აქვს, მათ მიეცათ გარანტია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ხმებს მიიღებენ და თვითმმართველობებში მოხვდებიან.

– რის სანაცვლოდ მიიღო ასეთი დაპირება „ევროპულმა საქართველომ“?

– რის სანაცვლოდ და ისინი დღევანდელ ხელისუფლებას ჰაერივით სჭირდება. ახლავე შემიძლია გითხრათ, როგორ გადანაწილდება ადგილები თვითმმართველობის არჩევნებზე – პირველ ადგილზე „ოცნება“ გავა, მეორეზე „ევროპულ საქართველოს“ გაიყვანენ, მესამე ადგილს კი ნაციონალებს დაუთმობენ. ეს ფრთა ვითომ შეურიგებელი ოპოზიციის როლს თამაშობს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ისინიც ხელისუფლების თამაშს ითამაშებენ. მეოთხე-მეხუთე ადგილებზე ამ პარტიებთან გაიგივებულ ძალებს გაიყვანენ.

ეს მონახაზი საპარლამენტო არჩევნებზე გაკეთდა და თვითმმართველობის არჩევნები ამის გაგრძელება იქნება. ამას ხელს ენდიაის ვითომ კვლევებიც უწყობს.

ენდიაი არის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის საქართველოს ფილიალი სპეცსამსახურად გადაიქცა. ის გამეცადინებულია არა საზოგადოებრივი აზრის კვლევაზე, არამედ არჩევნების წინ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე. გამოჩნდებიან ხოლმე საარჩევნოდ, რათა ამომრჩეველი წინასწარ შეაგუონ იმას, თუ როგორ გადანაწილდება ხმები. ჩვენ რომ თავმოყვარე ქვეყანა ვიყოთ, ეგენი სულ კინწისკვრით უნდა გავყაროთ აქედან.

დამოუკიდებელი ქვეყანა როცა გქვია, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა არ უნდა მიანდო უცხო ქვეყნის, თუნდაც მეგობარი ქვეყნის, ორგანიზაციას. საერთოდ დეგრადირებული თუ არა ხარ, საზოგადოებრივი აზრის კვლევის ეროვნული სააგენტო უნდა გყავდეს, რომელსაც ყველა პარტია გამოუცხადებს ნდობას.

– საზოგადოებრივი აზრის კვლევის ეროვნული სააგენტოს შექმნა მართლაც კარგი იქნებოდა. ხელისუფლებაში ასეთი რამე რატომ არავის მოუვიდა თავში?

– რატომ მოუვათ ასეთი რამე თავში? რაში სჭირდებათ იმის გასაჯაროება, თუ რას ფიქრობს სინამდვილეში ხალხი. თავიანთი მდგომარეობა დედის რძესავით შეირგეს და არც საზოგადოების აზრი აინტერესებთ და არც – მცოცავი ანექსია. ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა საერთოდ დაივიწყეს, ისევე, როგორც ხალხის სიდუხჭირე.

არც ის აინტერესებთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობა განათლების გარეშეა დარჩენილი. იმდენად დაბალი შედეგი აჩვენეს, რომ ეს ოფიციალურადაც კი ვერ დამალეს. ამაზე განგაშის ზარებია შემოსაკრავი, მაგრამ ვინ უნდა შემოჰკრას, განათლების მინისტრი კომბლესა და ნაცარქექიას დასდევს.

ვის რაში აინტერესებს მომავალი თაობის განათლების დაბალი დონე, როცა მინისტრების, მათი მოადგილეებისა თუ დეპარტამენტების უფროსების 90%-ს თავიანთი კერძო ბიზნესი აქვთ. მათ არც საქართველოს პრეზიდენტი ჩამორჩა.

მათ კერძო ბიზნესში ყოფნა ეკრძალებათ და თავიანთი წილები მშობლებზე, სიდედრებზე, ცოლებზე, საყვარლებზე აქვთ გადაფორმებული. მათ არ ჰყოფნით არნახულად მაღალი ხელფასები საჯარო სამსახურში. ასეთი დიდი ხელფასები საჯარო მოხელეებს ევროპაშიც კი არა აქვთ. პრემია-დანამატებსა და საწვავის ხარჯებზე აღარ ვსაუბრობ. ამას დაამატეთ საზღვარგარეთ მივლინების ხარჯები. ყოველდღე რომ უცხოეთში დადიან, რას აკეთებენ, იქნება გაგვაგებინონ. ინტერვიუებსაც რომ დამძიმებული სახეებით იძლევიან ეგ კრეტინები. მეტყველება მაგათ არ იციან, წერა-კითხვა და ჩაცმაც კი.

ვეკითხები სპორტის მინისტრს, მანქანებს რომ ყიდი მთელი შენი დღე და მოსწრება, მინისტრად რა გინდა? ბიზნესით რომ ხარ დაკავებული, ეს ცუდი არ არის, მაგრამ ჯერ მერაბიშვილსა და ნაციონალურ მოძრაობას იყავი მიკედლებული, ახლა კი „ოცნების“ მინისტრი გახდი. გგონია, ეს ხალხს დაავიწყდა? გამინისტრების შემდეგაც შენი მანქანები უნდა მიასაღო სახელმწიფოს? ხომ შეიძლებოდა, გაგეჩერებინა. მორალი ხომ მაინც არსებობს და ზნეობა.

ჯეჯელავაც კარგად სარგებლობს თავისი მდგომარეობით და კულტურის მინისტრიც. მათ არც მარგველაშვილი ჩამორჩა და ამ გაჭირვების ჟამს პრეზიდენტის ფონდიდან თავის კერძო უმაღლეს სასწავლებელს 280.000 ლარი გადაურიცხა.

– ხელისუფლება გასაგები მიზეზების გამო ამას არ გააპროტესტებს, მაგრამ საზოგადოება რატომ დუმს?

– იმიტომ, რომ ავად ვართ, იმიტომ, რომ ბონია მეწისქვილის რეფლექსებით ვცხოვრობთ და ყველაფერს ვეგუებით. სხვა შემთხვევაში ამდენს არ გაგვიბედავდნენ. მე აღარ მიკვირს ხელისუფლების თავგასულობის, მე ის მიკვირს, რატომ დუმს ამ ყველაფერზე ბიძინა ივანიშვილი.

მას რატომღაც ჰგონია, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არის. არადა, ყველაფერი არის ძალიან ცუდად. ის ვერ ხვდება იმას, თუ რა შეიძლება მოხდეს თვალის დახუჭვის გამო. ამას მას სექტემბერში შევახსენებ.

– სექტემბერში რა ხდება?

– ამაზე სექტემბერში ვილაპარაკებ. ივლისის ბოლოს ვეტყოდი, რომ ცუდი არ იქნება, თუ არსებულ ვითარებას თავად გააანალიზებს. მან ისიც უნდა იცოდეს, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც მას ახლო გარემოცვა უყვება. მხედველობაში ის ადამიანები მყავს, მასთან ერთად გადაღებული ფოტოებით სოციალურ ქსელში რომ სვეცკაობენ.

– ზემოთ თქვენ აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ახსენეთ. საქართველოში პენსის ჩამოსვლას ექსპერტთა ნაწილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. თქვენ რას ელოდებით ამ ვიზიტისგან?

– არაფერს. ჩამოვა, გაისეირნებს, ვიღაცებს შეხვდება და წავა. მასთან შეხვედრაზე იქნება კოხტაპრუწობა, არასამთავრობოების ჭინკური კრიახი და ა.შ. ველოდები, რომ ის ჩავა საოკუპაციო ხაზთან და დაგმობს მცოცავ ანექსიას, იტყვის, რომ რუსეთმა ეს ქმედება უნდა შეწყვიტოს და მოსკოვთან ამ პრობლემის მოგვარებაზე საუბარი უნდა დაიწყოს. პენსი ამას თუ გააკეთებს, მაშინ ვიწამებ, რომ აშშ ამ პრობლემის მოგვარებით არის დაინტერესებული.

– თქვით, რომ მასთან შეხვედრაზე კოხტაპრუწობა იქნება და ამ კოხტაპრუწობას ჩვენს შიდა პოლიტიკურ პროცესებზე არაფერს ეტყვის?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

კახა კუკავა: „ან ხელისუფლება წავა დათმობაზე, ან ჩვენ გვექნება ცხელი შემოდგომა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, „ქართული ოცნების“ ლიდერები პრეზიდენტსა და მის ადმინისტრაციას პროვოკაციული განცხადებების კეთებაში ადანაშაულებენ. სწორედ პრეზიდენტია მთავარი შემკვეთი იმ შეურაცხმყოფელი განცხადებებისა, რომლებიც პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან მომდინარეობსო. ასე რატომ დაიძაბა ურთიერთობა პრეზიდენტსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის?

– ჭაობშია ქართული პოლიტიკა! პოლიტიკა „ქართულმა ოცნებამ“ გადააქცია ჭაობად, ხოლო პარლამენტი გადააქცია პატარა პროვინციული ქალაქის ბაზრობად, სადაც არანაირი ინტელექტი, არანაირი მაღალი იდეები და არანაირი სტრატეგიები არ განიხილება. ერთი თვალის შევლებაც საკმარისია, რომ მიხვდე, ვისთან გაქვს საქმე. ეს საბავშვო ბაღიც არ არის. კეკელა და მაროდ გადაიქცა ქართული პოლიტიკა „ქართული ოცნების“ ხელში! ნაცვლად იმისა, რომ მსჯელობდნენ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, უმაღლესი თანამდებობის პირებს შორის მიდის ისეთივე ძიძგილაობა, როგორიც მიდის ჩემს 12 წლის გოგოსა და 10 წლის ბიჭს შორის.

– ეს ხომ არ არის მოსახლეობის ყურადღების გადატანა მძიმე პრობლემებიდან, თუ ზოგადად ეს მოცემულობა და პოლიტიკური დონეა?

– ეს არის ყველაფერი ერთად. ყურადღების გადატანაც არის ნამდვილად, გეთანხმებით ამაში, თუმცა ზოგადად ეს კლასია, ეს მოცემულობაა, ეგ განათლება აქვთ ამ ხალხს, ეგ დონე აქვთ. მეტი არ შეუძლიათ და მორჩა! ჩვენი ცოდო მიეცა ბიძინა ივანიშვილს, რომ ეს ხალხი დაასვა ქვეყანას თავზე. ერთ დროს კულტურულ და განვითარებულ ქვეყანას დღეს შემთხვევითი ადამიანები მართავენ. ქართული ოცნება კი არა, ეს არის ქართული კოშმარი!

– ჩვენთვის ვეტოს დაძლევა პრობლემა არ არის, უბრალოდ, სასაცილოა პრეზიდენტის მხრიდან ამდენი ვეტოო. არ არის ეს ვეტოები დასაბუთებული?

– პრეზიდენტის ვეტოები ნამდვილად დასაბუთებულია. პრეზიდენტის გუნდში არიან ნამდვილად საუკეთესო იურისტები. მე იურისტი ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ პარლამენტში თავმოყრილი იურისტებისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მყოფი იურისტების შედარებაც კი არ შეიძლება ერთმანეთთან. ანა დოლიძეს, კახა კოჟორიძესა და კიდევ ბევრ სხვას იცნობდა საზოგადოება მანამდეც, ვიდრე ისინი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იმუშავებდნენ და ყველამ იცის მათი კლასი. ხოლო ის ხალხი, ვინც პარლამენტში ხელმძღვანელობს იურიდიულ გუნდს, სანამ პარლამენტში არ შეიყვანა ბიძინა ივანიშვილმა, მათი სახელი და გვარი არავის არსად გაუგია. ამიტომ იმის თქმა, რომ პრეზიდენტის ვეტოები არის დაუსაბუთებელი, ნიშნავს იმას, რომ ამის მთქმელს არ აქვს იურიდიული ცოდნა. სოფო კილაძისგან სხვას რას ითხოვთ?!

– რას ერჩით სოფო კილაძეს, რას უწუნებთ მის კვალიფიკაციას?

– კარგით რა, სოფო კილაძე რომ იქნება ანა დოლიძის ვიზავი, როგორ შეიძლება ამის შედარება. ეს ისევეა, როგორც ლანჩხუთის გურია და ბარსელონა. აი, ისეთივე დაპირისპირებაა.

– ასევე ვერ შეთანხმდნენ ხელისუფლება და ოპოზიცია კონსტიტუციის საკითხებზე. რომ იტყვიან, დაილალა ჯანი ბუკიკიო საჩივრის წერილებით. ხელისუფლებაში კი აცხადებენ, რომ ვენეციის კომისიისგან იმაზე მეტს ითხოვს ოპოზიცია, ვიდრე ეს მისი მოვალეობაა. რა ხდება, რატომ ვერ თანხმდებით?

– აქ არის ასეთი ვითარება, ან ხელისუფლება წავა დათმობაზე, ან ჩვენ გვექნება ცხელი შემოდგომა! ეს მოცემულობაა. დანარჩენი ხელისუფლების გადასაწყვეტია, როგორ ურჩევნია. თუ უნდა, დაადგება ცხელი შემოდგომის გზას და კი ბატონო, ამის დასასრული როგორია, შეუძლიათ, სააკაშვილის ისტორიას უყურონ. უნდა, რომ არ დაამთავროს სააკაშვილივით? მაშინ უნდა წავიდეს დათმობებზე. ხელისუფლების შიგნით არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ამ პრობლემაზე ფიქრობენ და ხვდებიან, რომ გზა, რომელსაც „ოცნება“ ადგას, არის ჩიხი.

– ამ ჩიხიდან გამოსავალი მხოლოდ დათმობაა?

– დიახ და მე გამიხარდება ნამდვილად, თუ ეს ადამიანები მოახერხებენ და ხელისუფლებას კომპრომისზე დაითანხმებენ.

– დათმობასა და კომპრომისში რა იგულისხმება, მხოლოდ საარჩევნო სისტემის ცვლილება და პროპორციულზე გადასვლა?

– შეიძლება იყოს საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით სხვა მიდგომებიც. ეს შესაძლებელია, თუკი ხელისუფლების მხრიდან იქნება კომპრომისის სურვილი. ჯერჯერობით ამბობენ, რომ საარჩევნო სისტემაზე არ იმსჯელებენ. ეს პოზიცია ჩიხურია, ხოლო თუ იქნება მსჯელობა იმაზე, რომ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით კომპრომისი მოვძებნოთ, შეიძლება ჩვენ ვისაუბროთ ისეთ მოდელზე, რომელიც გულისხმობს იმას, რომ არც ოპოზიციის მოთხოვნა იქნება ბოლომდე დაკმაყოფილებული და არც ხელისუფლების. შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ თვითონ ის მოდელი, რომელიც მათ უნდათ, შემოვიდეს 2020-ში. მაჟორიტარულ სისტემაზე უნდა თქვან უარი.

– როგორ ფიქრობთ, იტყვიან?

– მათი გადასაწყვეტია. ხელისუფლება თვითონაც მშვენივრად ხვდება, რომ რასაც ახლა აკეთებს, ეს ჩიხია, მაგრამ არ უნდათ არაფრის დათმობა, ყველაფერი თავისთვის უნდათ. ამიტომ მათი გადასაწყვეტია ეს, უნდათ, დასხდებიან დიეტაზე და იცოცხლებენ დიდხანს, არ დასხდებიან დიეტაზე და რამდენიმე თვეში დაასრულებენ თავიანთ არსებობას! ეს მხოლოდ მათი გადასაწყვეტია.

„ახალი ამერიკული სანქციები რუსულ რუბლს საბოლოოდ მოკლავს“

რას ამბობს ცნობილი რუსი ანალიტიკოსი

ცნობილი ტრეიდერი, ფინანსური ანალიტიკოსი და ექსპერტი სტეპან დემურა აცხადებს, რომ ტრამპის მიერ ახალი ამერიკული სანქციების ხელმოწერა აგვისტოში რუსული რუბლის მკვეთრ ვარდნას, ხოლო უახლოეს მომავალში ევროპაში რუსული ბუნებრივი აირის ამერიკულით ჩანაცვლებას გამოიწვევს.

დემურამ ვრცლად ისაუბრა, თუ რა შედეგს მოუტანს ეს სანქციები რუსეთის ეკონომიკას, ბიუჯეტს, საფინანსო ბაზრებს. მისი აზრით, ყველაზე დიდი დარტყმა რუსული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის აკრძალვა იქნება. ასევე, სანქციები რუსეთის ნავთობისა და გაზის მრეწველობაში სერიოზული ინვესტიციების განხორციელების მკაცრ აკრძალვასაც გულისხმობს. ეს იმ დროს, რომ ნავთობზე ფასის ზრდა არ ივარაუდება, პირიქით, ისინი დღევანდელ დონეზეც არ შენარჩუნდება.

ექსპერტის აზრით, ევროპამ უკვე აიღო კურსი ენერგომატარებლების წყაროების დივერსიფიცირებაზე. ეს ნიშნავს, რომ ევროპულ ბაზარზე რუსული ნავთობისა და გაზის წილი ისედაც შემცირდება, სამაგიეროდ, გაიზრდება ამერიკული გაზის, მათ შორის ფიქალური გაზის წილი. ამასთან, ამერიკული სანქციები რუსეთის ახალ გაზსადენების, მათ შორის „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მშენებლობას დიდწილად შეაფერხებს. სავარაუდოდ, აშშ ევროპაში ნავთობის ექსპორტსაც გაზრდის.

– აქ მარტო სანქციები არაფერ შუაშია. „გაზპრომი“ კონკურენციას უკვე აგებს ევროპულ ბაზარზე. აქ ჩვეულებრივი ფინანსური მომენტიც მნიშვნელოვანია. მას შემდეგ, რაც ამერიკული თხევადი გაზი ევროპულ კონტინენტზე ჩვეულებრივ აირად მდგომარეობაში გადავა, იგი 100 დოლარი ეღირება. ხოლო „გაზპრომისთვის“ ფასის ქვედა ზღვარი 150 დოლარია, ამის ქვემოთ კომპანია წაგებაზე წავა. ასე რომ, ევროპისათვის უკვე მომგებიანი გახდება ამერიკული და ყატარის თხევადი აირის შეძენა, – აცხადებს ექსპერტი.

რუსეთისათვის ახალი ამერიკული სანქციების მძიმე შედეგის მაგალითად დემურას მილსადენ „თურქეთის ნაკადის“ მშენებლობა მოჰყავს.

შავი ზღვის ფსკერზე მილების განთავსებას იტალიური კომპანია აწარმოებს. სანქციები კრძალავს ნებისმიერ ხელშეწყობას თუ ინვესტიციებს რუსული საექსპორტო მილსადენების მშენებლობის საქმეში, შესაბამისად, იტალიელები სანქციის ქვეშ მოჰყვებიან. მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდება ბევრი ევროპული კომპანია. სავარაუდოდ, ისინი აირჩევენ რუსეთთან თანამშრომლობის შეწყვეტას.

– გარდა ამისა, ეს „თურქული ნაკადი“, „გაზპრომის“ გარდა, არავის სჭირდება. ისრაელს უკვე გაჰყავს თურქეთის მიმართულებით გაზსადენი. ეს გაზსადენი მომავალ წელს უკვე მზად იქნება. შესაბამისად, თურქეთი ნებისმიერ შემთხვევაში ხდება ბუნებრივი აირის ერთგვარი საცავი ევროპისათვის. და არა მარტო ებრაული გაზის წყალობით, – აცხადებს ექსპერტი.

მეორე საკითხი, რომელსაც სტეპან დემურა ეხება, ფინანსური ბაზრებია.

– სანქციები ძლიერ ამკაცრებს აშშ-ის პოზიციებს რუსეთთან მიმართებით. ჩვენ უკვე ვართ მოწყვეტილი მსოფლიოს საფინანსო ბაზარს. ახალი აკრძალვები საბოლოოდ გაწყვეტს ყოველგვარ კავშირს. ტრამპის მიერ ამ კანონის ხელმოწერა (რაც, სავარაუდოდ, მალე მოხდება) მოკლავს რუბლს, იმიტომ, რომ ინვესტორები ვეღარ განახორციელებენ ქერი თრეიდის ოპერაციებს რუსული (განსაკუთრებით სახელმწიფო და კორპორატიული) ფასიანი ქაღალდებით.

ეს გაანადგურებს ჩვენს საფინანსო ბაზარს. მეორეც, სერიოზული პრობლემები შეიქმნება რუსეთის სახელმწიფო ხაზინის შევსების საქმეში, გაზისა და ნავთობის შემოსავლების მეშვეობით. ვიმეორებ, ახალი სანქციები ძალიან სერიოზულია და მათზე სიცილი მხოლოდ სულელებს შეუძლიათ, – წერს ექსპერტი.

დემურა მთავარ პრობლემას იმაშიც ხედავს, რომ, კანონის თანახმად, არც ტრამპს და არც სხვა პრეზიდენტს აღარ შეეძლება, ერთპიროვნულად გააუქმოს სანქციები, ისინი ახლა კოდიფიცირებულია, ის კანონია და არა – პრეზიდენტის ან ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება. მათ მხოლოდ კონგრესი თუ გააუქმებს.

– სანქციების თანახმად, ამერიკულმა სპეცსამსახურებმა რეგულარულად უნდა მიაწოდონ პრეზიდენტს ინფორმაცია რუსი ოლიგარქების შესახებ, რომლებიც აქტივებს რუსეთის ფარგლებს გარეთ ფლობენ. მეტიც, ცხოვრობენ საზღვარგარეთ, ასევე მათი ნათესავებისა და ყველა იმ ხალხის შესახებ, რომლებიც მათ ფინანსურ სქემებში მონაწილეობენ. და, რაც მთავარია, სპეცსამსახურები ვალდებულნი არიან, მოახსენონ პრეზიდენტს მათი კაპიტალის წარმოშობის შესახებ. ვინაიდან ამ კაპიტალის წარმოშობა, ამერიკული სამართლის მიხედვით, ძალზე საეჭვოა.

ამ ოლიგარქებს ძალზე გაუჭირდებათ დასავლეთში ცხოვრება, დასავლურ ბანკებთან ურთიერთობა. ამის მაგალითია სანქცირებული უკრაინელი ოლიგარქი დიმიტრი ფირტაში. იგი დააკავეს ავსტრიაში გფბ-ს მოთხოვნით და ასტრონომიული თანხის, 125 მილიონი ევროს, გირაოს სანაცვლოდ გაუშვეს თავდებით.

ახალი ამერიკული სანქციები უსერიოზულესი ნაბიჯია შორსმიმავალი შედეგებით, – წერს დემურა.

ჟურნალისტის კითხვაზე, როგორი იქნება შესაძლო კრიზისის სცენარი ახალი სანქციების შემდეგ, დემურა შემდეგ სურათს ხატავს:

– პირველ ეტაპზე რუბლი ჩამოიქცევა. მალე დაიწყება ბაზრების ვარდნა და განვითარებადი ქვეყნებისა და მათი კომპანიების გაქცევა სარისკო რუსული აქტივების ფლობისგან. მალე ამოქმედდება ე.წ. „ბრბოს ეფექტი“, როდესაც ბირჟის რამდენიმე მოთამაშე ერთდროულად დაიწყებს რუსული აქტივების დაცემას, რადგან გადაწყვეტს, რომ რისკები უკვე საგრძნობლად გაიზარდა. დანარჩენები მათ მიბაძავენ, ხოლო სპეკულანტები დოლარს „მიაშურებენ“.

ექსპერტის აზრით, ეს პროცესი შეიძლება აგვისტოშივე დაიწყოს და მომავალში 1 დოლარი შეიძლება 95-125 რუბლს გაუტოლდეს.

– რა იქნება მომავალ წელს, ამის პროგნოზი რთულია. ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია რუბლის დაჭერა დიდი ხნის განმავლობაში, მას ამისთვის სახსრები არ გააჩნია, – აცხადებს ექსპერტი სტეპან დემურა.

ნიუპოსტი

„ქართული ოცნება“ „ევროპულ საქართველოს“ თვითმმართველობის არჩევნებში ადგილებს დაპირდა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– როგორ არ ეტყვის. ჩაიწერეთ ტექსტი და ნახეთ, იგივე თუ არ გაიმეოროს. გვეტყვის, რომ მედია და სასამართლო უნდა იყოს დამოუკიდებელი. იტყვის, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში არაფორმალური მმართველობა არ უნდა იყოს.

– თქვენ, თქვენი პარტიიდან გამომდინარე, პრორუსულობა გბრალდებათ და რაღაც კარგად ერკვევით ამერიკულ ამბებში. შემთხვევით შეფუთული პროამერიკელი ხომ არ ხართ?

– არავითარი პრორუსი და პროამერიკული. პირადად მე და ჩვენი პარტიაც მრავალვექტორული ურთიერთობის მომხრეები ვართ. რაც შეეხება ამერიკულ ამბებს, იქაურ ლობისტურ წრეებში უამრავი მეგობარი მყავს და ძალიან კარგად ვიცი, რა ხდება თეთრ სახლში. ასევე კარგად ვიცი, რა ხდება რუსეთში, ჩინეთსა და ზანზიბარშიც კი.

სამაგიეროდ, ვერაფრით გავიგე, რას დარბიან აქეთ-იქით თბილისის მერობის კანდიდატები. სადაც კი კამერას ნახავენ ჩართულს, პატი და პატაშონივით იქ არიან და მუშტებს იქნევენ. ყველა მათგანი გაბრაზებულია, მაგრამ არცერთ მათგანს არ გახსენებია, რა ხდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში.

– რა ხდება?

– უნივერსიტეტის ეზოს სარეკრეაციო ზონის გაჩეხა ამ წუთებშიც მიმდინარეობს, როცა ინტერვიუს გაძლევთ. აქ მორიგი მუცლის ამოსაყორი ადგილი ანუ რესტორანი კეთდება. მანამდე იქვე ვისკის სახლი გააკეთეს. მივმართავ მერობის კანდიდატებს, ერთმა მაინც რატომ არ გააპროტესტეთ ეს ამბავი.

– თქვენს პარტიას მერობის კანდიდატი ჯერ არ ჰყავს, მაგრამ კანდიდატის დასახელებამდეც ხომ შეგიძლიათ ამის გაპროტესტება?

– ჩვენ ვაპროტესტებთ, მაგრამ ჩვენს პროტესტს არავინ აშუქებს. მერობის კანდიდატებს კი სულ თან დასდევენ კამერები და იქნებ ამ ამბისთვისაც მოიცალონ.

რუსეთს საქართველოსა და მოლდოვისთვის ერთი გეგმა აქვს მომზადებული?

მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-ის მიერ საქართველოსადმი გამოჩენილი მხარდაჭერის პარალელურად, ბოლო დროს საქართველოში რუსეთის აქტივიზაცია შეინიშნება.

რუსეთი აქტიურობს საოკუპაციო ხაზის გადმოწევაში და სხვა მიმართულებით.

ოკუპანტი ქვეყნის ლიდერმა სხვადასხვა დროს და ადგილას ახსენა თბილისის პირდაპირი დიალოგი აფხაზებთან და ოსებთან. ამ თემაზე ბოლო დროს მოსკოვში ჩასულმა პატრიოტთა ალიანსის დეპუტაციამაც ისაუბრა.

ამგვარი შემოთავაზებები მოსკოვიდან მოლდოვის მიმართაც გაისმის. საქართველომ და მოლდოვამ უკრაინასთან ერთად დაახლოებით ერთი თვის წინ მათი ევროკავშირში მიღების დაჩქარება მოითხოვეს. რუსეთმაც დააჩქარა თავისი მოქმედებები. ამისათვის გამოიყენება კონფლიქტების მტკივნეული თემა, რომელიც ორივე ქვეყანას აწუხებს.

მოლდოვის სეპარატისტული რეგიონის – დნესტრისპირეთის პრეზიდენტი ვადიმ კრასნოსელსკი აცხადებს, რომ მოლდოვის პრეზიდენტ იგორ დოდონს უახლოეს თვეებში შეხვდება. შეხვედრა მოლდოვაში გაიმართება, შესაძლოა, მის მიერ არაკონტროლირებად დნესტრისპირეთშიც.

ამ განცხადებას წინ დიპლომატიური სკანდალი უძღოდა. ამ რეგიონში სამშვიდობო ძალების 25 წლისთავის აღსანიშნავად იქ უნდა ჩასულიყო რუსეთის ვიცეპრემიერი დმიტრი როგოზინი, რომელიც დოდონსა და კრასნოსელსკის ერთად უნდა დალაპარაკებოდა, მაგრამ იგი კიშინიოვში ვერ ჩავიდა. როგოზინის თვითმფრინავის დაშვება აეროპორტში მოლდოვამ და რუმინეთმა არ დაუშვეს.

რუსეთის საგარეო უწყება ამაში მხოლოდ ბუქარესტს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ რუსეთის ვიცეპრემიერის თვითმფრინავის შესვლა ქვეყნის საჰაერო სივრცეში რუმინეთმა ჩაშალა, რაც, შესაძლოა, აისახოს რუსეთ-რუმინეთის ურთიერთობებზე.

რუმინეთი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებს ემორჩილება. ამ სანქციებით როგოზინს ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა აკრძალული აქვს.

კრასნოსელსკი და დოდონი ერთმანეთს მაინც შეხვდებიან, ალბათ – მოსკოვის ნებართვით.

მწვანე შუქს მოსკოვი სოხუმისა და ცხინვალის მიმართულებითაც ანთებს. საკითხავია, რაზე უნდა ელაპარაკოს საქართველოს ხელისუფლება მოსკოვიდან მართულ საოკუპაციო რეჟიმებს, როცა ისინი რუსეთის გარეშე ერთ ნაბიჯსაც ვერ დგამენ?

საქართველოსა და უკრაინაში ბევრი სიხარულით შეხვდა რუსეთის საწინააღმდეგო სანქციების გაღრმავებას აშშ-ის მხრიდან.

ამ პათოსს ყველა აშშ-ში არ იზიარებს.

მაგალითად, ანალიტიკური ცენტრი „ბლუმბერგი“ ამაში აზრს ვერ ხედავს:

– მკაცრი პოზიცია რუსეთის მიმართ მისი მოქმედებების გამო უკრაინაში და არა სირიაში მოკლებულია სტრატეგიულ აზრს. ახლა აშშ ჰგავს გიგანტურ ავიამზიდს, რომელმაც მართვის სადავეები დაკარგა. პუტინს მისი გასწრებაც არ სჭირდება. იგი მას შემოუვლის. იგი ამ საქმის ოსტატია.

ამერიკულ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ ჯერ კიდევ დამტკიცებამდე შეეწინააღმდეგნენ ევროპაში. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ზიგმარ გაბრიელი ისევ აცხადებს, რომ აშშ სანქციებს იყენებს ინსტრუმენტად ამერიკული ენერგოკომპანიების მხარდასაჭერად, ამ დროს ევროპელებს უკრძალავს საქმის დაჭერას მათ კონკურენტებთან რუსეთიდან. მისი შეფასებით, სანქციების პოლიტიკა არ არის შესაფერისი ინსტრუმენტი საკუთარი ეროვნული ინტერესების წინ წამოწევისათვის.

ამ რთულ ვითარებაში რუსეთის გააქტიურება საქართველოს მიმართ აშკარაა. შესაძლოა, აგრესიულ მოქმედებებს მოსკოვმა ერთი შეხედვით მიმზიდველი წინადადებებიც მოაყოლოს. ამ პროცესში, მთავარია, არ შეილახოს საქართველოს ინტერესები.

მიხეილ ჯანელიძე: „ღირსეული პარტნიორი 2017“ ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის მშვიდობასა და სტაბილურობას ემსახურება“

საქართველოს ვიცეპრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე მრავალეროვნული სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2017“-ის გახსნის ოფიციალურ ცერემონიას დაესწრო.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო საბრძოლო მოქმედებებსა და საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას.

სწავლებაში მონაწილე სამხედროებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ, გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ და აშშ-ის ელჩმა საქართველოში იან კელიმ.

– ეს ღონისძიება ხაზს უსვამს ჩვენი შეიარაღებული ძალების ყოველწლიურ განვითარებას, თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას, გახლავთ მისი სიმტკიცის და სიძლიერის მაჩვენებელი. წვრთნები ემსახურება ჩვენი ქვეყნის მშვიდობას, სტაბილურობას და ასევე რეგიონში სტაბილურობას და უსაფრთხოებას. ჩვენი მიზანია ვიყოთ მეტად დაცულები ქვეყნის შიგნით, ასევე ვიყოთ მეტად თავსებადი ჩვენს პარტნიორებთან, ევროატლანტიკურ უსაფრთხოებაში შევიტანოთ კიდევ უფრო მეტი წვლილი. წვრთნები მნიშვნელოვნად გვეხმარება ასევე ნატოში ინტეგრაციის პროცესში და ნატოსთან თავსებადობაში, – განაცხადა მიხეილ ჯანელიძემ გახსნის ოფიციალური ცერემონიის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტირებისას.

❖ ❖ ❖

მრავალეროვნულ სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2017“-ს საქართველო წელს უკვე მესამედ მასპინძლობს. ამჯერად სწავლება კიდევ უფრო ფართომასშტაბიანია და მასში ნატოს წევრი და პარტნიორი 8 ქვეყანა იღებს მონაწილეობას: საქართველო, აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, თურქეთი, სლოვენია, სომხეთი და უკრაინა. სწავლების აქტიური ფაზა 12 აგვისტოს, ვაზიანის მე-11 სასროლეთზე საჩვენებელი წვრთნით დასრულდება.

,,ღირსეული პარტნიორი 2017“ ემსახურება სტაბილურობის, თავდაცვითი და შეტევით ოპერაციებში უნარჩვევების გაუმჯობესებას, ასევე აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საქართველოს და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ურთიერთ თავსებადობის ამაღლებას, ნატოს რეაგირების ძალების საბრძოლო შესაძლებლობების გაზრდას და აისაფში მონაწილე დანაყოფებს შორის ურთიერთ თავსებადობის გაღრმავებას.

გახსნის ოფიციალურ ცერემონიას საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის ხელმძღვანელები და სტუდენტები დაესწრნენ.

ნიუპოსტი

ვინ არიან საქართველოს ჯაშუშობისთვის გასამართლებული ქალები, რომლებიც პუტინმა შეიწყალა?

29 ივლისს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სახელმწიფოს ღალატისთვის გასამართლებული ორი ქალი – ანიკ კესიანი და მარინა ჯანჯღავა შეიწყალა.

ორივე კრასნოდარის მხარის მცხოვრებია. ისინი რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლით (სახელმწიფოს ღალატი) გაასამართლეს. რუსეთის გამოძიების მტკიცებით, მათ 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დაწყებამდე, ქართულ მხარეს სახელმწიფო საზღვართან რუსეთის სამხედრო ძალის გადაადგილების შესახებ შეატყობინეს.

გთავაზობთ ამ საქმესთან დაკავშირებული ქალების მონაცემებს.

ანიკ კესიანი

ანიკ კესიანს 2014 წელს 8-წლიანი პატიმრობა შეუფარდეს მესიჯისთვის, რომელშიც ეწერა „დიახ, მოდიან“ (ლაპარაკი იყო რუსულ ტანკებზე). 58 წლის კესიანი ადლერში დაიბადა, შემდეგ გათხოვდა და საცხოვრებლად აფხაზეთში გადავიდა. 1990-იან წლებში რუსეთში დაბრუნდა. ის ბაზარში გამყიდველად მუშაობდა. ბოლო წლებში დიასახლისი იყო. მისი ქალიშვილი საქართველოს მოქალაქის ცოლია.

უფლებადამცველი ორგანიზაციის, „გუნდი 29“-ის მონაცემებით, რომელიც მის საქმეზე მუშაობდა, 2008 წლის აპრილში ანიკ კესიანს მისმა მეგობარმა მამუკა ლუკავამ მისწერა (ლუკავას შესახებ არანაირი ინფორმაცია არ არსებობს). მან ჰკითხა კესიანს, იყვნენ თუ არა სოჭის ქუჩებში ტანკები, რაც ქალმა დაუდასტურა – ტექნიკა ქალაქში ღიად გადაადგილდებოდა.

2013 წელს კესიანი დაიბარეს რუსეთის უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურში, ხოლო 2014 წლის თებერვალში დააპატიმრეს. სახელმწიფოს დანიშნული ადვოკატის რჩევით, მან დანაშაული უმალ აღიარა. ქალმა მხოლოდ განაჩენიდან შეიტყო, რომ ის თავის ქართველ მეგობარს თითქოს სამხედრო ტექნიკის ერთეულების რაოდენობას ატყობინებდა. განაჩენი კესიანს კრასნოდარის სამხარეო სასამართლომ გამოუტანა. ის სასჯელს მორდოვის ერთ-ერთ კოლონიაში იხდიდა.

მარინა ჯანჯღავა

მატარებლის ბორტგამცილებელს, ადლერელ მარინა ჯანჯღავას, მსგავსი გარემოებების გამო 2012 წელს 12-წლიანი პატიმრობა შეუფარდეს. 2008 წელს მას მიმოწერა ჰქონდა საქართველოში მცხოვრებ გოჩა ჩხეტიასთან, რომელსაც, ფსბ-ს ვერსიით, სამხედრო ძალისა და ტექნიკის ეშელონების გადაადგილების შესახებ უამბო. ჩხეტიას რუსული სპეცსამსახურები ქართული დაზვერვის აგენტად მიიჩნევენ. კრასნოდარის სასამართლომ ჯანჯღავა სახელმწიფო ღალატში დამნაშავედ ცნო. 2014 წელს როსტოვის სასამართლომ მას დამატებით 4-წლიანი პატიმრობა შეუფარდა მოხელისთვის ქრთამის მიცემის ბრალდებით და შეკრებითობის პრინციპით სულ 13-წლიანი სასჯელი განუსაზღვრა.

ჯანჯღავას ადვოკატის თქმით, განაჩენში ნათქვამია, რომ ქალი ცდილობდა მისი დაპატიმრებული ძმის გათავისუფლებას, რომელიც საზღვრის გადაკვეთისთვის დააკავეს და ამ მიზნით მოხელისთვის ქრთამის მიცემას შეეცადა პირველი განაჩენის შემდეგ კრასნოდარიდან ეტაპირების დროს. პუტინის ბრძანებაში მხოლოდ ქრთამთან დაკავშირებული განაჩენია ნახსენები.

ინგა თუთისანი

სმირნოვას ადვოკატის თქმით, პუტინს შეწყალების თხოვნით იმავე გარემოებებით სახელმწიფო ღალატისთვის გასამართლებულმა კიდევ ერთმა ქალმა, ინგა თუთისანმა მიმართა. თუთისანი საქართველოს მოქალაქეა. მისი შეწყალების შესახებ ჯერ არაფერი თქმულა. უფლებადამცველები აცხადებენ, რომ, შეწყალების აქტების მიუხედავად, ყველა განაჩენს გაასაჩივრებენ.

ოქსანა სევასტიდი

ოქსანა სევასტიდი ვლადიმერ პუტინმა 2017 წლის მარტში შეიწყალა. სოჭის მკვიდრი სევასტიდიც სახელმწიფო ღალატისთვის გასამართლეს. მისი ინტერვიუდან ცნობილი გახდა, რომ მისი საქმე ერთადერთი არ იყო. ქალის თქმით, საქმეს იძიებდნენ ერთი და იგივე გამომძიებელი, პროკურორი და მოსამართლე. მესიჯისთვის განაჩენი გამოუტანეს კიდევ რამდენიმე ქალს, მაგალითად, საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ხარებავას, რომელსაც 6-წლიანი პატიმრობა შეუფარდეს და 2016 წელს ვადამდე გაათავისუფლეს.

იმედინიუსი

გიორგი კვირიკაშვილი: „მსგავსი სწავლებები ნატოს სტანდარტებთან გვაახლოებს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, რომელიც სამხედრო სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2017“-ის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა, აღნიშნა, რომ ასეთი სწავლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოსთვის. პრემიერმა მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებულ შტატებს და განაცხადა, რომ მსგავსი სწავლებები საქართველოს ნატოს სტანდარტებთან დაახლოებას უწყობს ხელს.

– საამაყოა, სწავლება ღირსეული პარტნიორის სახელს ატარებს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ჯარისთვის მეტი პროფესიონალიზმის და მეტი თავსებადობის მომტანი იქნება. ჩვენი ქვეყნისთვის სტაბილურობის გარანტი იქნება. უმნიშვნელოვანესია მსგავსი სწავლებები, ის გვაახლოებს ნატოს სტანდარტებთან. ეს იქნება შესანიშნავი შესაძლებლობა გამოცდილების გასაზიარებლად. ვაფასებთ ნატოს და ამერიკის მხარდაჭერას. საქართველო ყველაზე დიდი არაწევრი კონტრიბუტორია ავღანეთში. სამხედროებმა დაამტკიცეს, რომ საქართველო ღირსეული პარტნიორია, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერმა ასევე სიტყვით გამოსვლისას აშშ-ის ვიცეპრეზიდენტ მაიკ პენსის საქართველოში ვიზიტის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ პენსის ვიზიტი საქართველოს მიმართ მხარდაჭერის გამოხატულებაა.

ნიუპოსტი

იან კელი: „მაიკლ პენსს ექნება ძლიერი გზავნილი, რომ ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას“

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცეპრეზიდენტის ვიზიტის შესახებ ისაუბრა აშშ-ის ელჩმა საქართველოში იან კელიმ.

ელჩის განმარტებით, პენსის ვიზიტი საქართველოსი მიმართ მხარდაჭერის გამოხატულებაა.

– შეერთებულ შტატებში პრემიერ-მინისტრის ვიზიტის გაგრძელებასთან ერთად, ჩემი აზრით, ვიცეპრეზიდენტს სურს, გამოხატოს სოლიდარობა საქართველოს მიმართ, რომელიც ცდილობს, ააშენოს მოქნილი სახელმწიფო, გააძლიეროს თავისი შეიარაღებული ძალები და თავდაცვისუნარიანობა. რა თქმა უნდა, ვიცეპრეზიდენტს ექნება ძლიერი გზავნილიც, რომ ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, – განაცხადა იან კელიმ.

ნიუპოსტი

„ჯორჯიან მანგანეზის“ დროებითმა მმართველმა ნიკოლოზ ჩიქოვანმა „ფუდსერვისს“ სასამართლოში უჩივლა

კომპანია „ფუდსერვისი“ სკანდალში ეხვევა.

უვარგისი და ჯანმრთელობისთვის საში-ში საკვები პროდუქტების გამო, „ჯორჯიან მან-განეზის“ დროებითი მმართველი იძულებული გახდა, „ფუდსერვისთან“ სამწლიანი ხელშეკრუ-ლება გაეუქმებინა.

ნიკოლოზ ჩიქოვანი, რომელიც „ჯორჯია მანგანეზში“ დაახლოებით სამი თვის წინ დროე-ბით მმართველად დაინიშნა, კომპანიის თანამ-შრომლების კვების ხარისხით დაინტერესდა და არსებული დარღვევები სწორედ მან გამოავლი-ნა.

ხელშეკრულება კომპანია „ფუდსერვისსა“ და „ჯორჯიან მანგანეზის“ ადმინისტრაციასთან 3 წლის წინ გაფორმდა. ის ჭიათურის მაღაროსა და ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხნის თანამშრომლებს საკვები პროდუქტებით ამარა-გებდა.

ბოლო წლების განმავლობაში თანამშრომ-ლები, მათ შორის მუშები და მაღაროელები, უვარგისი საკვები პროდუქტების გამო უკმაყო-ფილებას გამოთქვამდნენ. არცთუ იშვიათად, იყო შემთხვევები, როდესაც უვარგისი საკვების მიღე-ბის შემდეგ მათ ჯანმრთელობის პრობლემები ექმნებოდათ.

კომპანიაში აცხადებენ, რომ კვებითი ინ-ტოქსიკაციის ხშირი შემთხვევებიც იყო.

ტელეკომპანია „იბერიის“ მიერ გავრცე-ლებულ ფოტოებზე ასახულია, თუ რა საკვებით იკვებებოდნენ კომპანიის თანამ-შრომლები.

– ცომი, რომელსაც ბუზი და ჭიანჭველები ეხვევა, ე.წ. მაცი-ვარი, სადაც გალურჯებული ხორ-ცი დაბინძურებულ თაროებზე, და-ბინძურებულ ჭურჭელში ინახება. იგივე ხორცი, ამჯერად დამუშა-ვების პროცესში გარემო აქაც იდენტურია – ანტისანიტარია და ბინძური ინვენტარი. შენახვის სა-ხარბიელო პირობები არც რძის ნაწარმის შემ-თხვევაში შეიმჩნევა. ყველა ნაჩვენები კადრი ერთ სივრცეში, ერთი დღის განმავლობაშია გადაღე-ბული, – აღნიშნულია „იბერიის“ მიერ მომზადე-ბულ სიუჟეტში.

– იყო შემთხვევები, როდესაც ჩვენს თანამ-შრომლებს ფაღარათი ჰქონდათ, – ამბობს ერთ-ერთი მუშა.

ფაქტს, რომ თანამშრომლები უხარისხო საკვების გამო პრეტენზიას ხშირად გამოთქვამ-დნენ, „ჯორჯიან მანგანეზის“ დროებითი მმარ-თველიც ადასტურებს. – – იყო შემთხვევაც, როდესაც თანამშრომლებმა უხარისხო საკვების მიღება გააპროტესტეს, მათ დადეს ინ-სტრუმენტები და მუშაობას თავი დაა-ნებეს, საკმაოდ ლეგიტიმური იყო მათი ქმედება იმ დღეს უხერხულიც არის იმის მოყოლა, რა ხდებოდა ცომში, ხორ-ცში, მაცივრებში და ა.შ. ამ ყველაფრის გამო გავწყვიტეთ კონტრაქტი და შემო-ვიყვანეთ ახალი კომპანია. უკვე მოდის ჩვენამდე ინფორმაცია, რომ ახალი კომ-პანიით თანამშრომლები კმაყოფილები არიან, – აცხადებს ნიკოლოზ ჩიქოვანი.

„ფუდსერვისი“ 3 წლის განმავლობაში ემ-სახურებოდა როგორც ზესტაფონის ფეროშე-ნადნობთა ქარხნის, ისე ჭიათურის სამთო-გამამ-დიდრებელი კომბინატის თანამშრომლებს. კომ-პანია დაახლოებით 5.500 ადამიანის კვებაზე იყო პასუხისმგებელი.

„ფუდსერვისთან“ თანამშრომლობის შეწ-ყვეტის შემდეგ კომპანიასთან სამართლებრივ დავას იწყებენ. სასამართლოში ხელშეკრულების პირობების დარღვევასთან დაკავშირებით უკვე შეტანილია სარჩელი. „ჯორჯიან მანგანეზის“ სარ-ჩელის საფუძველზე „ფუდსერვისის“ ქონების ნა-წილს უკვე ყადაღა დაადეს.

კომერსანტი

ხარაგაულში გვირაბის მშენებლობაზე 2 მუშა დაშავდა

ილია ლეჟავა: „მშენებლობაზე უსაფრთხოება მძიმე მდგომარეობაშია“

„ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბრიგადა“: „მუშების უსაფრთხოება დაცული იყო“

რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავ-შირის თავმჯდომარის მოადგილე ილია ლეჟავა ხარაგაულში გვირაბის მშენებლობაზე უსაფ-რთხოების ნორმების სერიოზულ დარღვევებზე საუბრობს.

მისი თქმით, ხარაგაულში, სადაც ჩინური კომპანია „ჩინეთის რკინიგზის 23-ე უბანი“ გვი-რაბის მშენებლობის სამუშაოებს აწარმოებს, პროფკავშირის ინსპექტორებმა მაისში მონიტო-რინგი ჩაატარეს და დასაქმებულთა შრომის უსაფ-რთხოების მდგომარეობა შეამოწმეს.

დარგობრივმა პროფკავშირმა სიტუაციის გამოსასწორებლად რეკომენდაციები დამსაქმე-ბელს წერილობით გადასცა.

ილია ლეჟავას თქმით, სექტემბერში ახალი მონიტორინგი უნდა განეხორციელებინათ, რათა გაერკვიათ დარღვევებიდან რა გამოსწორდა.

– ამ ობიექტზე მუდმივად შემოწმებას „საქართველოს რკინიგზა“ უნდა ახორციელებდეს, რადგან გვირაბის მშენებლობის სამუშაოებს მი-სი კონტრაქტორი კომპანია ასრულებს. ეს ყველა-ფერი დებულებით აქვს გაწერილი რკინიგზას და ამას არ ასრულებს. ეს არის პრობლემა. ამაზე 20-მა არასამთავრობო ორგანიზაციამაც კი მის-წერა თავის დროზე რკინიგზას. სამწუხაროდ, ეს დღემდე არ შესრულებულა.

ჩვენ იქ ვნახეთ, რომ გვირაბის მშენებლობა უხარისხოდ მიმდინარეობდა და ნორმები სათა-ნადოდ არ იყო დაცული. სპეციალისტებმა უნდა შეისწავლონ ეს ყოველივე ადგილზე. გვირაბში ვენტილაცია არ იყო მოწყობილი და მუშებს სუნთქვა უჭირდათ. იქ ყოფნისას ჩვენ გავაჩერეთ მუშაობა და განვაცხადეთ, რომ მუშაობა არ განახლდებოდა, ვიდრე ვენტილაციის პრობლემა არ მოგვარდებოდა.

მაშინ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აფეთ-ქებიდან 1,5 სთ გარეთ იქნებოდნენ მუშები და შემდეგ შევიდოდნენ, როდესაც ვენტილაცია გა-უმჯობესდებოდა. ჩვენი ინფორმაციით, იქ ვენ-ტილაცია დღემდე არ გაუმჯობესებულა. ასევე, ელექტროსადენები იყო შიშველ მდგომარეობა-ში. იქ უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალიან მძიმე მდგომარეობაა, – განაცხადა ლეჟავამ.

ხარაგაულში, სოფელ ანეულასთან სარკი-ნიგზო გვირაბის მშენებლობაზე 28 ივლისს 2 მუშა დაშავდა.

სამუშაოებს „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბრი-გადა“ აწარმოებს, რომელმაც 29 ივლისს მომ-ხდარის შესახებ განცხადება გაავრცელა.

მასში ნათქვამია:

– 29 ივლისს ხარაგაულის რაიონის სო-ფელ ბეჟათუბანში მდებარე მე-7 გვირაბის მშე-ნებლობის დროს, ორი მუშა დაშავდა. მათ შორის ერთ-ერთმა მსუბუქი დაზიანება მიიღო და მედი-კოსების მხრიდან გაწეული შესაბამისი დახმარე-ბის შემდეგ, საავადმყოფოდან გაეწერა. მეორე მუშა, თამაზ ტალახაძე, რომელმაც ქვების ჩამოცვ-ენისა და პლატფორმიდან ჩამოვარდნის შედეგ-გად სხეულის სხვადასხვა დაზიანებები მიიღო, ხაშურის საავადმყოფოში გაწეული პირველადი სამედიცინო დახმარების შემდეგ, გადაყვანილია თბილისში, კლინიკა „ლანცეტში“, სადაც ამბუ-ლატორიულ მკურნალობას აგრძელებს.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ გვირაბის მშენებლობის პროცესში, დაშავებული მუშების უსაფრთხოების ზომები მკაცრად იყო დაცული. ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ შესაბამისი აღ-ჭურვილობით. უბედური შემთხვევის შემდეგ, ჩვენი კომპანიის წარმომადგენლებმა მყისიერად მოახდინეს რეაგირება იმისათვის, რომ დაშავე-ბულებისათვის სასწრაფო-სამედიცინო დახმა-რების გაწევა ოპერატიულად მომხდარიყო. აღ-ნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა სამარ-თალდამცავ ორგანოებს.

ჩვენი კომპანია სრულად დაფარავს მკურ-ნალობის ხარჯებს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს თამაზ ტალახაძის სწრაფ გამოჯანმრთელებას.

გვსურს, დამატებით გაცნობოთ, რომ გვი-რაბის ჩამონგრევას ადგილი არ ჰქონია. გვირა-ბის საექსკავაციო ნაწილში მხოლოდ მცირე მო-ცულობის ქვა ჩამოვარდა.

კომბინირებული საკვების საწარმოში 130.000 დოლარის ინვესტიცია განხორციელდა

თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი კომბინი-რებული საკვების მწარმოებელი საწარმო გარდაბნის მუნი-ციპალიტეტში, შპს „მჯ ინტერნაციონალ ჯორჯია“, რომე-ლიც „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა, „შე-ღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის მენეჯერმა ლევან დოლიძემ, ქვემო-ქართლის გუბერნატორის მოადგილე ზა-ურ დარგალთან ერთად მოინახულა.

შპს „მჯ ინტერნაციონალ ჯორჯიას“ კომბინირებუ-ლი საკვების მწარმოებელი საწარმო თვეში 60-დან 100-მდე ტონა კომბინირებულ საკვებს, პრემიქსსა და კონცენტრა-ტებს აწარმოებს. საწარმოში 10 ადამიანია დასაქმებული. პროდუქციის რეალიზაცია ხდება ადგილობრივ ბაზარზე. აღნიშნული საწარმო 2017 წლის ივნისის თვეში ამოქმედდა.

კომპანია შეღავათიანი აგროკრედიტის ბენეფიცია-რია. საწარმოში ჯამურად 130.000 აშშ დოლარამდე ინვეს-ტიცია განხორციელდა, აქედან 30.000 აშშ დოლარს შეღა-ვათიანი აგროკრედიტი შეადგენს, ხოლო 100.000 აშშ დოლარამდე ბენეფიციარის საკუთარი ინვესტიციაა.

2013 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო სხვადასხვა პროექტს ახორ-ციელებს ახალი საწარმოების შექმნის მიზნით.

პროექტების ფარგლებში შეღავათიანი სესხები გაი-ცემა როგორც ახალი საწარმოების შექმნისთვის, ასევე უკვე არსებულის გაფართოებისთვის. ამ ეტაპზე, პროექტის ფარ-გლებში ქვემო ქართლის რეგიონში შეიქმნა 19 ახალი საწარმო, ხოლო საქართველოს მასშტაბით უკვე დაფინან-სდა 750-ზე მეტი მოქმედი და 162 ახალი საწარმო.

ბიზნესმედია

ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთზე ვიბროხმაურიანი ზოლები მოეწყო

ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთზე დატვირთული სატრანზიტო მოძრაობის გამ-ო, დამატებითი საგზაო მოძ-რაობის უსაფრთხოების უზ-რუნველსაყოფად, ავტოსატ-რანსპორტო საშუალების მძღოლების ყურადღების იძუ-ლებით გამახვილებისათვის, საჭეზე მგრძნობიარობის მიზ-ნით, სავალი ნაწილის მთელ სიგანეზე ვიბროხმაურიანი ზო-ლები მოეწყო.

როგორც საავტომობი-ლო გზების დეპარტამენტი იუწყება, საერთაშორისო და შიდასახელმწიფო-ებრივი მნიშვნელობის საავტომობი-ლო გზების ქსელის გარკვეულ მონაკ-ვეთებზე მიმდინარეობს პერიოდული შეკეთების სამუშაოები, რაც ძირითა-დად საფარის სისწორის, ხორკლია-ნობის და საცვეთი ფენის აღდგენის სამუშაოებს მოიცავს.

– სამუშაოების წარმოების პრო-ცესში განთავსებულია შესაბამისი საგ-ზაო ნიშნები, გთხოვთ, გაგებით მოეკი-დოთ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საავტომობილო გზების გარკვეულ მონაკვეთებზე შესაძლო არა-კომფორტულ გადაადგილებას, რის-თვისაც ბოდიშს გიხდით და გისურ-ვებთ უსაფრთხო მგზავრობას, – ნათ-ქვამია გზების დეპარტამენტის განცხადებაში.

„მეწარმეს სურს, ბიზნესიდან ნაკლები ფული გაიტანოს“ რას ამბობს „ხილიანის“ მწარმოებელი ესტონურ მოდელზე

2017 წლის იანვრიდან ქვეყანა-ში რამდენიმე მნიშვნელოვანი ეკონო-მიკური რეფორმა განხორციელდა. მათ შორისაა მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელის ამოქმედება, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია/საწარმო მოგების გადასახადით მხოლოდ მოგე-ბის განაწილების შემთხვევაში დაი-ბეგრება, ხოლო თუ მის სრულ რეინ-ვესტირებას მოახდენს, აღნიშნული გა-დასახადისგან გათავისუფლდება.

ცვლილებების მიხედვით, კომ-პანია, რომელიც მოგებას არ გაინაწი-ლებს და თანხის რეინვესტირებას გა-ნახორციელებს, მოგების გადასახადს არ გადაიხდის. განაწილებული მოგე-ბა კი ჩვეულებრივ, კვლავ 15%-ით და-იბეგრება.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, რამდენად წაახალისა ბიზნესი ქვეყანა-ში განხორციელებულმა ეკონომიკურ-მა აღნიშნულმა რეფორმამ და რამდე-ნად აისახა ეს მათ საქმიანობაზე.

კომპანია „ქართული ლიმონა-თის“ ხელმძღვანელი ვარაზ ასპანიძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ როდესაც მეწარმეს ეძლევა მისი რესურსების გამოყენების საშუალება, ეს მისასალმებელია.

მისი განცხადებით, ნებისმიერი კომპანია, რომელსაც განვითარება სურს, მიმართავს ბანკს და იღებს ფა-სიან ფულს. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შემდეგ კი სა-ხელმწიფო ბიუჯეტი კონკრეტულ კომ-პანიას უბრუნებს თანხას. შესაბამი-სად, მას ამ დაბრუნებული თანხით ნაკლები ოდენობის ფასიანი ფულის აღება უწევს ბანკიდან.

– ფაქტობრივად, იმ თანხას იყე-ნებს ყოველგვარი პროცენტის და და-მატებითი ხარჯების გარეშე. ამავდრო-ულად, მეწარმე დაინტერესებულია, რომ ბიზნესიდან ნაკლები გაიტანოს. როგორ შეიძლება ამან დადებითი ეფექ-ტი არ მოიტანოს? გაჩნდა რესურსი, რომელიც წარმოებაში დარჩა, – აცხა-დებს ასპანიძე.

კომერსანტი

უქმე დღეებში, დავალიანების გადაუხდელობის მიუხედავად, დენი, წყალი და გაზი აღარ გაგეთიშებათ



29 ივლისს ამოქმედდა სემეკის დადგენი-ლება, რომლის თანახმადაც, ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის დავალიანების გადაუხდელო-ბის გამო, კომპანიები მომხმარებელს საღამოს, შაბათ-კვირას, უქმე დღეებსა და უქმე დღეების წინა დღეებში დენს, გაზსა და წყალს ვეღარ გუთიშავენ.

სემეკმა აღნიშნული დადგენილება 2017 წლის 21 ივლისს გამოსცა. გარდა ამისა, დადგე-ნილებებში მითითებულია, რომ დავალიანების გადაუხდელობისთვის გათიშული მომარაგების აღდგენა, მომხმარებლის მიერ ამ დავალიანების გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენიდან არაუ-მეტეს 5 საათში უნდა მოხდეს.

ანი მურადელი დედის მოკვლის დროს შეუურაცხადი იყო

რატომ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა ბალერინის მიმართ

დედის მკვლელობისთვის ბრალდებულ ანი მურადელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

ამის შესახებ ნათქვამია თბილისის საქალაქო სასამართლოს განცხადებაში, რომელიც 29 ივლისს გავრცელდა.

– დედის მკვლელობისათვის ბრალდებული ანი მურადელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის განჩინებით, ბრალდებულს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა დაენიშნა, – ნათქვამია განცხადებაში.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით, რომლის თანახმადაც ბრალდებულს, ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს არ შეეძლო გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი, მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შეურაცხადობა)“.

ანი მურადელი გადაყვანილია ხონში, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

ხონის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორმა გოჩა ბაკურიძემ, კანონის შესაბამისად, პაციენტის შესახებ აღნიშნული ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა.

როგორც „კვირას“ ანი მურადელის მეგობარმა განუცხადა, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ მიიღო.

– პროცესი ღია იყო. ჩვენ პროცესის განახლებას სექტემბერში ველოდით, თუმცა, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ექსპერტიზის დასკვნის შედეგად, პროცესი ჩაინიშნა. ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ანი დანაშაულის ჩადენის დროს შეურაცხადი იყო, შესაბამისად, მან დანაშაული აფექტურ მდგომარეობაში ჩაიდინა. სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ანი მურადელი მკურნალობას ფსიქიატრიულში გააგრძელებს, – აღნიშნა ბალერინის მეგობარმა.

* * *

ანი მურადელი, რომელიც წლების განმავლობაში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის წამყვანი სოლისტი იყო, სამართალდამცველებმა 21 მაისს დედის, მარინე მინდორაშვილის, მკვლელობის ბრალდებით სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის საფუძველზე დააკავეს.

დედა-შვილი ისნის რაიონში, სახლში მარტო ცხოვრობდა. მეზობლების თქმით, ტრაგედიამდე დედა-შვილს შორის კონფლიქტი გახშირდა. არსებული ინფორმაციით, ანი მურადელმა დედა თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმის შედეგად მოკლა.

ანი მურადელმა დედის მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე ოპერის სცენაზე ერთ-ერთი წამყვანი როლი ითამაშა. 13-14 მაისს ხელოვანმა საბალეტო დადგმაში „გორდა“ აღმოსავლური ცეკვა შეასრულა.

იგი ოპერის სცენაზე მხოლოდ შაბათ-კვირას დაანონსებულ ბალეტზე მონაწილეობდა.

უკვე 15 მაისს დასის წევრებისთვის ცნობილი გახდა, რომ 21-22 მაისს (შაბათ-კვირას) რეპეტიციას არ დაესწრებოდა.

ოპერის თანამშრომლები ანი მურადელს დადებით პიროვნებად ახასიათებდნენ.

– ის არაჩვეულებრივი მოცეკვავეა, არაჩვეულებრივი და ულამაზესი გოგოა, ჩვენ ყველა შოკში ვართ. არ ვიცით, რა მოხდა. საშინელი ტრაგედიაა, – აღნიშნა „კვირასთან“ საუბრისას დასის ერთ-ერთმა წევრმა.

თუმცა პრიმაბალერინას პირად ცხოვრებაში დეპრესიული პერიოდიც ჰქონდა.

ანი და მისი მეუღლე, რეზო მაღალაშვილი, რამდენიმე წლის წინ დაშორდნენ. ანის ქორწინებიდან არც შვილი ჰყოლია.

რეზო მაღალაშვილი მუსიკოსისა და ჯაზმენის ჯარჯი მაღალაშვილის ძმისშვილი და ცნობილი ბალერონის, ნუკრი მაღალაშვილის შვილია.

მეუღლის დაშორების შემდეგ პრიმაბალერინა ალკოჰოლდამოკიდებული გახდა. რამდენიმე წლის წინ ფეხზე ტრავმა მიიღო და სცენაზე პირველხარისხოვან როლებს ველარ ასრულებდა.

ოპერის თანამშრომლები „კვირასთან“ საუბრისას ამბობდნენ, რომ ანი მურადელის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე განსაკუთრებით ზრუნავდა პრიმაბალერინა ნინო ანანიაშვილი. სწორედ მისი დახმარებით, ანი მურადელს ფეხზე ოპერაცია და ალკოჰოლისადმი დამოკიდებულების საწინააღმდეგოდ სამკურნალო კურსიც ჩაუტარდა.

ანი მურადელი ოჯახის ერთადერთი შვილია. მამამისი, ლევან მურადელი, ცნობილი მუსიკოსი, სახელმწიფო კაპელის ერთ-ერთი წევრი იყო. იგი დაახლოებით 5 წლის წინ გარდაიცვალა. დედა, მარინე მინდორაშვილი, ასოცირებული პროფესორი იყო. იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარდა, კიდევ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში ლექციებს კითხულობდა.

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის მიცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ქრთამის მიცემის ფაქტზე შპს „ლადი 2011“-ის დამფუძნებელი ვლადიმერ ა. დაუკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ვლადიმერ ა. დაუკავშირდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოს ინსპექტირების განყოფილების უფროს სპეციალისტს და შეატყობინა, რომ სურვილი ჰქონდა ლანჩხუთის რაიონში მდინარე სუფსის სანაპიროდან უკანონოდ მოეპოვებინა სასარგებლო წიაღისეული – ინერტული სამშენებლო მასალა შემდგომი რეალიზაციის მიზნით. ბრალდებულმა საჯარო მოხელეს სთხოვა აღნიშნულ საქმიანობაში სამსახურებრივი მფარველობა თავის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, რის სანაცვლოდ დაჰპირდა, რომ წინასწარ ქრთამის სახით მისცემდა მის მიერ ყოველთვიურად მოსაპოვებელი ქვიშა-ღორღის საფასურს, ერთ კუბზე 50 თეთრის ოდენობით.

შპს „ლადი 2011“-ის დამფუძნებელმა აღნიშნულ საჯარო მოხელეს წინასწარ ქრთამის სახით გადასცა მოსაპოვებელი 8.000 კუბი ქვიშა-ღორღის უკანონოდ მოპოვების საფასური – 4.000 ლარი, რა დროსაც იგი სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება უკანონო ქმედების ჩასადენად ქრთამის მიცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 339-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

ოზურგეთში 31 წლის გია ხვედელიძე გაუჩინარდა

„დაიბარა, ნათესავს უნდა შევხვდეო... მას მერე არ გამოჩენილა“

ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში 31 წლის მამაკაცს ეძებენ. როგორც „ნიუპოსტს“ ოჯახის ახლობლებმა აცნობეს, ახალგაზრდა რამდენიმე დღის წინ გავიდა სახლიდან და ამ დრომდე მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

გია ხვედელიძე სოფელში დედ-მამასთან და ძმასთან ერთად ცხოვრობს.

„ნიუპოსტი“ დაკარგული მამაკაცის ძმას დაუკავშირდა.

როგორც გელა ხვედელიძე აცხადებს, მისი ძმა რამდენიმე დღის წინ, გვიან ღამით გავიდა სახლიდან იმ მოტივით, რომ ნათესავს უნდა შეხვედროდა.

– ღამის სამი საათი იყო, ჯერ მანქანით გავიდა, შემდეგ მობრუნდა და ფეხით წავიდა. დაიბარა, რომ ნათესავი უნდა ენახა, თუმცა იმ ოჯახში არ საერთოდ არ მისულა, – აცხადებს გელა ხვედელიძე.

მისი თქმით, საეჭვო არაფერი შეუნიშნავთ და არც კონფლიქტი ჰქონია ვინმესთან.

გია ხვედელიძის ოჯახმა უკვე მიმართა ურეკის პოლიციას. ოჯახი თქმით, მიმდინარეობს საძიებო ღონისძიებები.

შრომის თემში გამგებლის წარმომადგენელი მაყვალა დარჩია „ნიუპოსტთან“ ამბობს, რომ, მშობლების თქმით, ბოლო დროს შვილი ცოტა არეული იყო, თუმცა იმ მომენტში ყურადღება არ მიუქცევიათ.

„ნიუპოსტი“ შს სამინისტროს დაუკავშირდა, როგორც უწყების პრესსამსახურში განაცხადეს, შეტყობინება მამაკაცის გაუჩინარების შესახებ 27 ივლისს შევიდა და ამ დროისთვის უკვე მიმდინარეობს საძიებო ღონისძიებები.

თურქეთში 3 ქართველი დააკავეს

თურქეთის პოლიციამ იალოვას რეგიონში ქურდობაში ეჭვმიტანილი 3 ქართველი დააკავა.

ეჭვმიტანილები მანქანით გადაადგილდებოდნენ, რომლის გაჩერებაც პოლიციამ ცადა, თუმცა მძღოლი ბრძანებას არ დაემორჩილა.

საბოლოოდ სამართალდამცველებმა ავტომობილი მცირეხნიანი დევნის შემდეგ გააჩერეს. მანქანის ჩხრეკისას პოლიციამ დიდი რაოდენობით ძვირფასეულობა და კომპიუტერები ამოიღო.

გორში, იუსტიციის სახლთან, ტაქსის მძღოლის ცხედარი იპოვეს

გორში, იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, წინასწარი ინფორმაციით, მამაკაცი ტაქსის მძღოლია და ის გულის შეტევით გარდაიცვალა.

როგორც „ნიუპოსტს“ შსს პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება 116-ე მუხლით დაიწყო.

გორში 24 წლის კაცი ჩხუბში მოკლეს

გორში მომხდარი ჩხუბის შედეგად 24 წლის ბიჭი გარდაიცვალა.

„ნიუპოსტის“ ცნობით, ის ბათუმის მკვიდრია და გორში სტუმრად იყო ჩასული.

მომხდარი ფაქტი შსს-მ ცხელ კვალზე გახსნა. როგორც უწყების პრესსამსახურში განგვიცხადეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტისა და გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1997 წელს დაბადებული ნ.თ., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, ურთიერთშელაპარაკებისას, 1993 წელს დაბადებულ მ.ს.-ს თავისა და სახის არეში რამდენიმე დაზიანება მიაყენა, რის შედეგადაც იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე მიმდინარეობს, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია (საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილით).

ტრამპმა ამერიკის გმირებს პატივი მიაგო

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ამერიკის ძალოვან სტრუქტურებში მოსამსახურეებს მიმართა.

პრეზიდენტმა გაიხსენა ყველა, ვინც თავის დროზე ამერიკის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, ისინიც, ვინც პირველ ან მეორე მსოფლიო ომებში მონაწილეობდა, ვინც გამოიარა ვიეტნამი, ერაყი, ვინც ახლა იბრძვის ავღანეთში ან მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში იმყოფება.

– ყველა მათგანს ამერიკისადმი სიყვარული აერთიანებდა! მე ამ ხალხის წინაშე მუხლს ვიდრეკ, – განაცხადა ტრამპმა.

ტილერსონი: „იმედი მაქვს, რუსეთთან თანამშრომლობა მოხერხდება!“

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა სენატის მიერ რუსეთის მიმართ დამატებითი სანქციების დაწესებას კანონზომიერი უწოდა.

– ჩვენს კანონმდებლებს სურთ დასაჯონ რუსეთი როგორც უკრაინის მიმართ განხორციელებული აგრესიის, აგრეთვე სირიის დიქტატორ ასადის მხარდაჭერისთვის, განსაკუთრებით კი ამერიკის არჩევნებში ჩარევისთვის, – ამბობს სახელმწიფო მდივანი.

ტილერსონმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ არსებობს რიგი საკითხი, სადაც რუსეთთან თანამშრომლობა აუცილებელია.

– იმედი მაქვს, რუსეთთან გარკვეულ საკითხებში ვითანამშრომლებთ და ეს როგორც ჩვენთვის, ისე რუსეთისთვისაც ხელსაყრელი იქნება, – ამბობს ტილერსონი.

პუტინმა საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობაში ბრალდებულები მარინა ჯანჯღავა და ანიკ კესიანი შეიწყალა

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა შეწყალების დოკუმენტს, რომლის მიხედვით, სოჭის მკვიდრებს მარინა ჯანჯღავასა და ანიკ კესიანს სახელმწიფო ღალატი აპატიეს.

დოკუმენტი ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ბრძანება გამოქვეყნებიდან 10 დღეში შევა ძალაში.

4 ივლისს სოჭის მოქალაქეებმა, რომლებსაც სახელმწიფოს ღალატი დასწამეს, რუსეთის უზენაეს სასამართლოს მიმართეს.

7 მარტს ვლადიმერ პუტინმა ამ საქმის კიდევ ერთი ბრალდებული ოქსანა სევასტიდი შეიწყალა.

2015 წელს კესიანს სახელმწიფო ღალატის ბრალდებით 8-წლიანი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, 2013 და 2014 წელს კი იმავე დანაშაულის გამო ჯანჯღავა და ტუტისანი გაასამართლეს. პირველმა ორმა 2008 წელს (რუსეთთან კონფლიქტამდე) თავიანთ ქართველ ნაცნობებს გაუგზავნეს სმს-ები, რომლებშიც აღწერილი იყო რუსული ტექნიკის გადაადგილება აფხაზეთის მიმართულებით.

შეტაკებები ლონდონში

ბრიტანეთის დედაქალაქში პოლიციასა და შავკანიან მოსახლეობას შორის შეტაკება მოხდა.

მიზეზი შავკანიან რავშან ჩარლზის სიკვდილია. მისი მეგობრები ამაში პოლიციას ადანაშაულებენ.

შავკანიანები თავიანთ პროტესტს ძალზე ბობოქრად გამოხატავდნენ. ისინი პოლიციას ქვებსა და ჯოხებს ესროდნენ. პოლიციამ წესრიგის აღდგენა შეძლო. რამდენიმე ყველაზე აგრესიული შავკანიანი დააკავეს.

ავსტრალიაში თვითმფრინავის ტერაქტი აღკვეთეს

ავსტრალიის კონტრტერორისტულმა პოლიციამ გამოააშკარავა შეთქმულება, რომლის მონაწილეებიც თვითმფრინავის აფეთქებას გეგმავდნენ.

ამის შესახებ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა მალკოლმ თერნბულმა განაცხადა.

– 30 ივლისს ტერორისტების დასაკავებლად უმსხვილესი ერთობლივი კონტრტერორისტული ოპერაცია ჩატარდა, რომლის მიზანი იყო თვითმფრინავის აფეთქება, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მომხდარის შედეგად ავსტრალიის ყველა აეროპორტში უსაფრთხოების მექანიზმი გაძლიერდა. ამასთან, სიდნეის აეროპორტში 4 ეჭვმიტანილი დააკავეს.

პოლიციის ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, ეჭვმიტანილები დაკავშირებული იყვნენ ისლამისტებთან. დაკავებულთა შორის არიან ქალი, მამაკაცი და მათი შვილი, რომლებიც ტეროროზმთან კავშირს უარყოფენ.

ინციდენტი სპარსეთის ყურეში

სპარსეთის ყურეში ირანელებსა და ამერიკელებს შორის მორიგი ინციდენტი მოხდა.

ირანელებმა ამერიკის სამხედრო ხომალდებს ცეცხლი გაუხსნეს. ამერიკელები იძულებულნი გახდნენ, ცეცხლითვე ეპასუხათ. შედეგად ირანელებმა უკან დაიხიეს.

ირანის „ისლამური რევოლუციის დაცვის კორპუსმა“, თავის მხრივ, ბრალი ამერიკელებს დასდო. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ აშშ-ის სამხედრო გემებმა ირანის საპატრულო ხომალდებს ცეცხლი გაუხსნეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბალეიდოსკოპი

დაქორწინებაზე უარის მთქმელი ბელორუსი ტურისტი მძევლად აიყვანეს

საზღვარგარეთ ტურისტად წასული ბელორუსის მოქალაქე ადგილობრივი მცხოვრები გოგონას შეიარაღებულმა ნათესავებმა, რომელზე დაქორწინებაზე მან უარი განაცხადა, მძევლად აიყვანეს. ამ ინფორმაციას ბელორუსის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფეისბუქში საკუთარ გვერდზე აქვეყნებს.

– თუ თქვენ ფიქრობთ, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო „აჭარბებს“ იმ რეკომენდაციებით, რომელსაც ის ექსტრემალურ ვითარებაში ქცევის თაობაზე იძლევა, თქვენ ცდებით, – ნათქვამია სახელმწიფო დაწესებულების პრესსამსახურის მიერ გამოქვეყნებულ წერილში. მასში ასევე განმარტებულია, რომ ბელორუსის დიპმისიამ „ერთ-ერთი ცხელი ქვეყნიდან“ მიიღო ინფორმაციას ამ შემთხვევასთან დაკავშირებით.

სამინისტროს ინფორმაციით, მძევლად აყვანილმა ბელორუსმა სმს-ს საშუალებით მალულად მოახერხა დიპმისიისთვის ზუსტი მისამართის, შენობის გეგმის, შეიარაღებული ადამიანების რაოდენობისა და შენობაში მათი განლაგების შეტყობინება.

– ადგილობრივი პოლიციის სპეცოპერაციის შედეგად ჩვენი ქვეყნის მოქალაქე გათავისუფლდა და სამშობლოში დაბრუნდა. ასე რომ, ყურადღებით იყავით ჩვენ მიერ მოწოდებული რეკომენდაციების გაცნობისას და სიფრთხილე გამოიჩინეთ დაქორწინებაზე პირობის მიცემისას, – აღნიშნულია პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

მიუხედავად მოქალაქეების თხოვნისა, რომ დაესახელებინათ ის ქვეყანა, სადაც ამგვარ ინციდენტს ჰქონდა ადგილი, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბელორუსის საინფორმაციო კანონმდებლობაზე დაყრდნობით, ქვეყნის დასახელებისგან თავი შეიკავა.

ბანკის შიშველი მძარცველი აშშ-ში დააკავეს

ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ფორტ ლაუდერდეილში დააპატიმრეს მამაკაცი, რომელმაც ბანკი გაძარცვა და გაშიშვლებულმა ფულის ქუჩებში მიმოფანტვა დაიწყო.

ფედერალური საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლების ინფორმაციით, დაკავებული აღმოჩნდა 25 წლის აღექსანდრ ჰაიდენ სპერბერი. მამაკაცის შეიარაღებული არ ყოფილა. ის, უბრალოდ, წინ გაშვერილი საჩვენებელი თითით იმიტირებდა, რომ თითქოსდა ხელში პისტოლეტი ეჭირა. მან მოახერხა ბანკის თანამშრომელი ქალბატონი მუქარით დაეშინებინა და ეიძულებინა, მისთვის დაახლოებით 4,7 ათასი დოლარი მიეცა.

ბანკიდან გამოსვლის შემდეგ სპერბერმა ტანსაცმლის გახდა და გამვლელებისთვის ფულის გადაყრა დაიწყო. როდესაც პოლიციის ადგილობრივი დეპარტამენტის თანამშრომლებმა მამაკაცი დააკავეს, მან განაცხადა, რომ ასეთი ხერხით სურდა კომედიური მსახიობის კარიერის დაწყება. ახალგაზრდა მამაკაცს ძარცვის ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგბია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

სირიაში რაშა თუდეის ჟურნალისტი დაიღუპა

სირიაში, პროვინცია ჰომსში, ტერორისტული დაჯგუფება ისლამური სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სროლების შედეგად ტელეკომპანია რაშა თუდეის კორესპონდენტი დაიღუპა.

ამის შესახებ ტელეკომპანიის არაბული ვერსიის ვებგვერდზეა ნათქვამი.

სირიაში ტელეკომპანიის კორესპონდენტი ჰალედ ალ-ჰათიბი სირიის არმიის მიერ ეს-სიჰნას რაიონში ისლამური სახელმწიფოს საწინააღმდეგო ოპერაციის გაშუქებისას სასიკვდილოდ დაიჭრა.

ალ-ჰათიბი 22 წლის იყო. მასთან ერთად დაიჭრა ტელეოპერატორი მუუთაზ იაკუბი, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ინტერპრესნიუსი

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ნანა ქიბრონაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის.: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები. გარანტიით! ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

არველაძემ დინამოს გაუტანა, საბურთალო და კოლხეთი უგოლოდ დაშორდნენ

ლოკომოტივი-დინამო (თბ) 3:1

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 არველაძე (17), 1:1 მიქელთაძე (24პ), 2:1 არველაძე (56), 3:1 ხიდეშელი (82)

ლოკომოტივი: თევდორაძე, ჩიტეიშვილი, ჭანტურია, ანდრონიკაშვილი (რეხვიაშვილი 54), სიხარულიძე, ქავთარაძე, კიკნაძე, ხიდეშელი, გოროზია (დიასამიძე 51), არველაძე (კიკაბიძე 73), სამურკასოვი

დინამო: რევიშვილი, თოთაძე, კობოური, სალუქვაძე, გეგეჭკორი, ქარდავა (ნინუა 83), კუცია (კოვტალიუკი 57), შულაია, ჩაკვეტაძე, თევზაძე (ქოჩლაძე 70), მიქელთაძე

თბილისური დერბი საინტერესო გამოდგა. დებიუტში მასპინძლებმა შეუტიეს სახიფათოდ, ვატო არველაძეს დარტყმისას არ ეყო სიზუსტე. საპასუხოდ აკაკი შულაიას შეეძლო თამაშის გამწვავება, მაგრამ მისი დარტყმულიც უზუსტო გამოდგა.

მე-17 წუთზე ლოკომოტივმა გახსნა ანგარიში: არველაძემ საჯარიმოს მისადგომებთან კარგად ითამაშა და ზუსტად დაარტყა.

დინამომ მალევე აღადგინა წონასწორობა: 24-ე წუთზე არველაძემ ჯერ მოედნის ცენტრში დაკარგა ბურთი, შემდეგ საჯარიმოს სიახლოვეს შეუშალა ხელი მცველებს და ხიდეშელს ისღა დარჩენოდა, საჯარიმოში ბექა მიქელთაძე წაექცია, რომელმაც თავად დაარტყა 11 მეტრიდან ზუსტად – 1:1.

ტაიმის შუაში სათამაშო უპირატესობა სტუმრებმა მოიპოვეს. შულაიამ, ჩაკვეტაძემ და მიქელთაძემ არაერთხელ გაამწვავეს თამაში, მაგრამ ზუსტ დარტყმამდე საქმე არ მისულა და ტაიმიც დამთავრდა.

მე-2 ნახევარი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო. 56-ე წუთზე მასპინძლების სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ არველაძემ ისევ ჩინებულად ითამაშა, მოედნის ცენტრიდან ირბინა, მცველებს აჯობა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მეორედ აიღო დინამოს კარი.

კახა კაჭარავამ მოედანზე შეტევითი პოტენციალის გასაძლიერებლად გიორგი კუციას ნაცვლად მიკოლა კოვტალიუკი შემოუშვა, მაგრამ ამან დინამოს ვერ უშველა.

82-ე წუთზე ლოკომოტივის ფეხბურთელებმა საჯარიმო ჩამოაწოდეს, ყველას გიორგი ხიდეშელმა დაასწრო და 3:1. შეხვედრაში მეტი აღარაფერი შეცვლილა.

ჩიხურა: ჰამზიჩი, მირცხულავა, ფონიავა, განუგრავა (დეკანოიძე 72), სარდალიშვილი (გაბედავა 67), კორიფაძე, ტატანაშვილი, კაკუბავა, ივანიშვილი, ჩიკვაიძე, დობროლოვსკი (გორგიაშვილი 67)

ჩემპიონისა და ვიცეჩემპიონის მატჩი მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა და დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა.

გია ცეცაძის შეგირდთა უპირატესობა ეჭქვეშ წამითაც არ დამდგარა. ანგარიში დასაწყისშივე გაიხსნა: სამტრედიამ მარცხენა ფლანგიდან კარგად შეუტია, რასაც დავით რაჟამაშვილის გოლი მოჰყვა. მასპინძლებს პირველ ტაიმში კარგი შანსი მიეცათ ანგარიშის გაზრდის, თუმცა ინტერს გიიმ პენალტი ვერ გაიტანა – დინო ჰამზიჩმა კუთხეც გამოიცნო და დარტყმულს სიძლიერეც აკლდა.

მე-2 ნახევრის სამწუთიან ინტერვალში ნიკა საბანაძემ დუბლი გაიფორმა – ჯერ, ივანიშვილის შეცდომის შედეგად იხეირა, ხოლო შემდეგ დავით ჯიქიას, რომელმაც ცარიელ კარში ვერ დაარტყა, დანაშაული გამოასწორა და შედეგიანად დაამატა.

სამტრედია-ჩიხურა 3:0

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

1:0 რაჟამაშვილი (4), 2:0, 3:0 საბანაძე (58, 61)

სამტრედია: მიგინეიშვილი, მჭედლიშვილი, სანდოხაძე, კასრაძე, ბალდე, მანჯგალაძე, დათუნაიშვილი, ჯიქია (მარკოზაშვილი 76), რაჟამაშვილი (სამუშია 69), გია (მთივლიშვილი 85), საბანაძე

კოლხეთი – საბურთალო 0:0

სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

კოლხეთი: სეფიაშვილი, გ.კილასონია, გოგონაია, ნონდი, კერძევაძე (ჯანელიძე 37), კაკულია, ბროვკო (ბახია 66), დაფე, ბოლქვაძე, ვ.კილასონია, ბუხაიძე (მაჩარია 74)

საბურთალო: კუპატაძე, მალი (ჩაბრაძე 54), მარგველაშვილი, გრიგალაშვილი, ლაკვეხელიანი, ხარაიშვილი, თარხნიშვილი, კოხრეიძე, ვოლკოვი (მამუჩაშვილი 77), შინდაგორიძე (ქოჩორაშვილი 62), მუიეცი

თბილისელთა შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა დავით ვოლკოვს, რომელიც რამდენიმე დღის წინ ჩაირიცხა საბურთალოში. პირველად ითამაშა თერთმეტეულში ალბანელმა ნდუენ მუიეცმაც. ერთ-ერთ ეპიზოდში ლეგიონერს გატანაც შეეძლო, მაგრამ დარტყმულს მცველები გადაეღობნენ.

ანგარიშის გახსნის შანსი მასპინძლებსაც ჰქონდათ, როდესაც დავით ბოლქვაძის შორიდან გასროლილი, ბურთი ხარიხამ აისხლიტა. ტაიმის მიწურულს გიორგი ხარაიშვილს მიეცა თავისიანების დაწინაურების შესაძლებლობა, მაგრამ ახლო მანძილიდან ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. საბოლოოდ – 0:0.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (თბ)	20	15	1	4	49-15	46
2.ტორპედო	19	12	4	3	29-13	40
3.სამტრედია	20	12	3	5	32-21	39
4.ლოკომოტივი	20	9	3	8	35-23	30
5.ჩიხურა	20	9	2	9	27-32	29
6.საბურთალო	20	8	2	10	23-27	26
7.ფილა	19	5	7	7	23-24	22
8.დინამო (ბთ)	19	6	2	11	15-24	20
9.კოლხეთი	20	4	6	10	18-35	18
10.შუქურა	19	1	4	14	14-51	7

ბომბარდირები: ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 15 ბურთი; ბაჩანა არაბული (დინამო თბ), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 11-11; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხ/დინამო თბ) – 10;

16 წლამდე გოგონათა ნაკრებმა ნახევარფინალი სომხეთთან წააგო

საქართველოს 16 წლამდე გოგონათა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ც დივიზიონში სომხეთთან დამარცხდა და ფინალის მიღმა დარჩა. ნინო ყიფშიძისა და შოთა იაქაშვილის გაწვრთნილმა საქართველოს ნაკრებმა ნახევარფინალური შეხვედრა სომხეთთან 53:74 დათმო და მე-3 ადგილისთვის მატჩში უელსს შეხვდება.

ქართველებმა სომხეთის ნაკრებს წინააღმდეგობა პირველ პერიოდში გაუწიეს, რომელიც 11:15 დათმეს. მეორე მეოთხედში ჩვენი მეზობლები უფრო მობილიზებულნი იყვნენ და 10-წუთეულის 32:12 მოგების შემდეგ, დიდი შესვენებისთვის 15 ქულით გალიდერდნენ – 38:23.

საქართველოს ნაკრები მე-3 მეოთხედში გვარიანად გაუძალიანდა სომხებს, თუმცა ბოლო პერიოდში გატყდა და საბოლოოდ 21 ქულით – 53:74 წააგო.

ჩვენს ნაკრებში 15 ქულით საუკეთესო იყო მარი ოქროპირიძე. 11 ქულა მიითვალა სოფო მოსიამ.

მეორე ნახევარფინალურ მატჩში მალტამ უელსს 61:33 მოუგო და ფინალში გავიდა. როგორც გითხარით, საქართველოს ნაკრების მეტოქე მე-3 ადგილისთვის მატჩში უელსი იქნება.

კალათბურთელთა ნაკრების გეგმა – ავსტრიელებთან მარცხი

საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ პერიოდში მე-2 საკონტროლო მატჩი გამართა. ილიას ზუროსის გუნდი ავსტრიაში, ქალაქ ობერვარტში ადგილობრივ ეროვნულ გუნდთან და 10 ქულის სხვაობით – 77:87 დამარცხდა.

თითქოს მოსამზადებელ პერიოდში საქართველოს ნაკრებს გეგმასავით აქვს განერილი, რომ ავსტრიელებთან უნდა დამარცხდნენ. არადა, საქართველოს ნაკრები მეორე პერიოდში 10 ქულას იგებდა, ხოლო მესამეში – 11 ქულით ლიდერობდა, მაგრამ ბოლო პერიოდის წინ ეს უპირატესობა მხოლოდ 2 ქულა იყო, ხოლო დასკვნითი 10-წუთეული 10:22 წააგეს და შეხვედრაც დათმეს.

საქართველოს ნაკრებმა ავსტრიიდან ლიტვაში გადაინაცვლა, სადაც 4 და 5 აგვისტოს ამხანაგურ მატჩებს გამართავს. 4 აგვისტოს ილიას ზუროსის გაწვრთნილი გუნდი ლატვიას შეხვდება, ხოლო 5-ში ან ლიტვას, ანაც პოლონეთს. პოლონეთი და ლიტვა საქართველო-ლატვიის პარალელურად ითამაშებენ და გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში შეხვდებიან, ხოლო წაგებულები მე-3 ადგილისთვის ითამაშებენ.

ავსტრიელებთან მატჩში 22 ქულითა და 8 მოხსნით ყველაზე შედეგიანი თორნიკე შენგელია გახლდათ, ხოლო გიორგი შერმადინმა 18 ქულა მიითვალა, გიორგი ცინცაძის ანგარიშზე კი 10 ქულა და 8 პასი იყო.

ახალგაზრდულ ფესტივალზე ისევ ძიუდოისტების ხარჯზე

ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე საქართველოს დელეგაციას ძიუდოისტებმა მედლების კოლექცია შემატეს, ძიუდოისტთა ნაკრებმა კი არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა.

მარიამ ჭანტურიამ (63 კგ) ყველა მეტოქე დაჯაბნა და გიორში მეორედ ააყღერა ჩვენი ქვეყნის ჰიმნი. მარიამმა საჩემპიონო გზა ბრწყინვალედ გაიარა: პირველ წრეში ხორვატი ლუსია გლუმაკი შებოჭა, შემდეგ კი – პორტუგალიელი ჯოანა კრისოსტომო. ნახევარფინალში ჩვენმა ძიუდოისტმა კოსოვოს წარმომადგენელს ლაურა ფაზლიუს დამატებით დროში იპონით სძლია. დაძაბული გამოდგა ფინალური შერკინება: მარიამი ევროპის ორგზის ჩემპიონს, სერბ ანია ობრადოვიჩს დაუპირისპირდა, ბოლო წამებზე მეტოქეს ვაზარი აუღო და ჩემპიონის ტიტული გაინაღდა.

ჭანტურიას მხარი აუბა სოფიო სომხიშვილმა (მძიმე): სოფიომ თავიდან ფრანგი კრისტალ გარსია ვაზარით დაამარცხა, მეორე წრეში იპონით მოუგო გერმანელი ლეა სტეინი, ნახევარფინალში ასევე იპონით აჯობა ჰოლანდიის წარმომადგენელს მარიტ კამპსს, ფინალში კი 2 წუთსა და 28 წამში დაამარცხა ლიტველი ჯასტინა მიალაუსკაიტე და ევროპის ჩემპიონის ტიტულს ოლიმპიური ფესტივალის ოქროს მედალი დაუმატა.

სოფიო სომხიშვილი:

– კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ, გადავერთე ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადების პროცესში. ძალიან მინდოდა აქ ოქროს მედლის მოპოვება და ეს შევძელი. ვიდრე ტატამზე გავიდოდი, ფეხები და კისერი მტკიოდა, მაგრამ ახლა ყველაფერი გადამავიწყდა. ევროპის ჩემპიონატიდან ტრავმები გამომყვა, რამაც ფესტივალისთვის მზადებაში ხელი შემიშალა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ გამარჯვებული ვარ.

ძიუდო და ბიჭების მედლის გარეშე წარმოუდგენელია – მიხეილ ბექაურმაც დამაჯერებლად გაიმარჯვა ფესტივალზე. ფინალამდე ბექაურმა საკვალიფიკაციო ეტაპზე მან ლიტველ და კოსოვოელ მეტოქეებს აჯობა, ნახევარფინალში აზერბაიჯანელ ადილ კარიმლს 2 ვაზარით მოუგო, ფინალურ შეხვედრაში სლოვაკი დენის ტურაკი 15 წამში დააიპონა და საქართველოს ნაკრებს მეოთხე ოქროს მედალი მოუტანა.

მიხეილ ბექაური:

– ყველაზე მძიმე ბრძოლა აზერბაიჯანელ მეტოქესთან მქონდა. კარგად ვიყავი მომზადებული და მიზანსაც მივაღწიე. ჩვენმა გუნდმა დიდი სამუშაო გასწია და შედეგიც შესაბამისი მივიღეთ. ეს მართლაც დიდი წარმატებაა.

ვლადიმერ ახალკაცმა (81) დილის პროგრამაში ორი შეხვედრა მოიგო, მეოთხედფინალში კი მოლდოველ იუგენ მატვეიციუსთან დამარცხდა, თუმცა მედლისთვის ბრძოლა რეპეშაჟში განაგრძო. დამამშვიდებელ ჯგუფში ახალკაცმა სამი შეხვედრიდან სამივე იპონით მოიგო და საქართველოს ნაკრებს ბრინჯაოს მედალი მოუტანა.

საქართველოს დელეგაციას მე-7 მედალი შემატა ლევან ჭელიძემ, რომელსაც ხელი ნახევარფინალში – მომავალ ჩემპიონთან, უნგრელ რიჩარდ სიპოზთან შეხვედრაში მოეცარა, დანარჩენი ბრძოლები კი დიდი უპირატესობით მოიგო, მათ შორის ბრინჯაოსთვის შეხვედრა სლოვაკ ტიმ კელცთან.

საქართველოს ნაკრების ანგარიშზე, საერთო ჯამში, შვიდი ინდივიდუალური მედალია. მე-8 მედალი კი უკვე გუნდური იყო – საქართველოს ძიუდოს ნაკრებმა მე-3 ადგილი დაიკავა.

მეოთხედფინალში ლატვიის (5:0) ძლევის შემდეგ საქართველოს ნაკრები ნახევარფინალში რუსეთთან (1:4) დამარცხდა. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ახალგაზრდა ქართველმა სპორტსმენებმა ესტონელ თანატოლებს ხუთივე ორთაბრძოლა მოუგეს.

ოლიმპიური ფესტივალის ბოლო დღეს საქართველოს დელეგაციის მონაგარს კიდევ 1 ბრინჯაოს მედალი შეემატა, რომელიც კანოისტმა გია გაბედავამ მოიპოვა.

გაბედავა 200-მეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდა და ფინალურ გაცურვაში მე-3 შედეგი აჩვენა – 44.450 წამი. კანოე პირველად შეიტანეს ოლიმპიური ფესტივალის პროგრამაში და სასიხარულოა, რომ ქართველმა ნიჩბოსანმა სადებიუტო ტურნირში ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლო.

ამ დისციპლინაში ჩემპიონი გახდა ესპანელი მანუელ ფონტან სენორასი (43.380), ვერცხლის მედალს კი უნგრელი ბენედიქტ ჰორვატი (43.700) დაეუფლა.

წლევანდელი ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი სპორტის 10 სახეობაში ჩატარდა. 33 ქართველი სპორტსმენი 7 სახეობაში გამოდიოდა. 9-დან 8 მედალი ჩვენი ძიუდოისტების ანგარიშზეა.

საქართველოს გუნდმა ოქროს 4, ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 4 მედლით საბოლოო ცხრილში მე-11 პოზიცია დაიკავა.

შედეგები

29 ივლისი

ფეხბურთი

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ინგოლშტადი-უნიონი 0:1
არმინია-რეგენსბურგი 2:1
დარმშტადი-ფიურტი 1:0

საფრანგეთი. სუპერთასი

მონაკო-პსჟ 1:2

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლორიანი-კევიი 1:1

ჩესეთი. პრემიერლიგა

ურალი-უფა 1:1
ცსკა-სკა ხაბაროვსკი 2:0
რუბინი-არსენალი 2:1
ახმატი-დინამო 2:0

შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი 0:4

ბელგია. 1 დივიზიონი

ლოკერენი-ბრიუგე 0:4
გენკი-ბევერენი 3:3
ეუპენი-ვარეგემი 0:5
შარლერუა-კორტრაიკი 1:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ზალცბურგი-ლინცერი 1:1
მატერსბურგი-ვოლფსბერგერი 1:0
სტ.პოლენი-რაპიდი 1:4

ჰოლანდია. ექსტრაჟენასი

ლეგია-სანდეცია 2:0
გურნიკი-ვისლა 3:2

უკრაინა. პრემიერლიგა

სტალი-შახტარი 1:2
ვორსკლა-ზვეზდა 2:1
დინამო-კარპატი 5:0

დანია. სუპერლიგა

ოდენსე-ჰორსენსი 1:0
კოპენჰაგენი-ჰობრო 0:0

შვედეთი. ალსვენსკა

იონჩოპინგი-ჰამარბი 1:0
ელფსბორგი-სირიუსი 0:2
სუნდსვალდი-მალმიო 0:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ილვესი-ვაასა 0:0
ლახტი-მარიეჰამნი 6:2
კემი-ინტერი 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

„ტიტანიკის“ ვარსკვლავები აისბერგების გადასარჩენად გაერთიანდნენ

ფილმის „ტიტანიკის“ ვარსკვლავები ლეონარდო დიკაპრიო, კეიტ უინსლეტი და ბილი ზეინი აისბერგების გადასარჩენად გაერთიანდნენ. მსახიობების ერთობლივი ფოტო ზეინმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

ფოტოსურათი საქველმოქმედო ღონისძიების დროს იქნა გადაღებული, რომელიც დიკაპრიოს ფონდის მიერ იყო ორგანიზებული და კლიმატის ცვლილების პრობლემებს ეძღვნებოდა.

შეგახსენებთ, რომ ფილმი „ტიტანიკი“ კინოეკრანებზე 1997 წელს გამოვიდა და მასში სახელგანთქმული ხომალდის დაღუპვაა ასახული. ზეინი ასრულებდა უინსლეტის გმირის საქმროს როლს, რომელსაც დიკაპრიოს პერსონაჟი შეუყვარდა.

– ახლა ჩვენ აისბერგებს ვშველით, – დაწერა ხუმრობით ზეინმა ერთობლივი ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში.

შიშველმა მამაკაცმა მაღაზიიდან ლუდი მოიპარა

პოლონეთის ქალაქ სუვალკიში სრულიად შიშველი მამაკაცი ერთ-ერთ ადგილობრივ მაღაზიაში შევიდა და იქიდან რამდენიმე ბოთლი ლუდი მოიპარა. მომხდარი მაღაზიის სათვალთვალო ვიდეოკამერამ გადაიღო.

მამაკაცი არავის შეუჩერებია, ვინაიდან მაღაზიის გამყიდველი მისი შესახედაობით შოკირებული აღმოჩნდა. გავრცელებული ინფორმაციით, სამართალდამრღვევი აღმოჩნდა 33 წლის ადგილობრივი მცხოვრები, რომლის ვინაობა არ სახელდება.

როგორც ადგილობრივი პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა განაცხადეს, ლუდის მოპარვის შემდეგ მამაკაცმა სხვა მაღაზიიდან ასევე გამოიტანა სიგარეტი და ერთ-ერთ ადგილობრივ ბარში შევიდა.

მამაკაცი იმ დროს დააპატიმრეს, როდესაც ის ბარში თავის შეკვეთას ელოდებოდა. ის პოლიციის თანამშრომლების თვალწინ ატირდა და მაღაზიაში დაბრუნდა მოპარული ლუდის საფასურის გადასახდელად. აღსანიშნავია, რომ ის ამ დროს ნასვამი იყო. სამართალდამრღვევი ქურდობასა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას გაშიშვლებაშია ბრალდებული.

სპორტი

პირლომ მილანელები ისევ გაანაწყენა

მილანის ყოფილმა ნახევარმცველმა ანდრეა პირლომ ისევ გაანაწყენა მილანელი ტიფოზერია. პირლომ განაცხადა, რომ „როსონერისათვის“ სკუდეტოზე ფიქრი ჯერჯერობით ნაადრევია, რადგან გუნდის ძირითადი ბირთვი ახლადგადმოსული ფეხბურთელებისაგან შედგება.

ანდრეა პირლო:

– მილანი სკუდეტოსთვის იბრძოლებს? არა მგონია. როდესაც ყველაფერს ნულიდან იწყებ და 10 ფეხბურთელს ყიდულობ, მათი შეთამაშება ყოველთვის რთულია. მონტელას მძიმე სამუშაო ელის, მან გუნდი ჩემპიონთა ლიგაზე უნდა გაიყვანოს... ბონუჩი მილანს მეტ ქარიზმატულობასა და გამოცდილებას შესძენს. სამაგიეროდ, ლეონარდო იუვენტუსს ძალიან დააკლდება. არ ვიცი, რა მოხდა ამ სიტუაციაში, მაგრამ, შემიძლია ვთქვა, რომ მე მილანი ახალი თავგადასავლის საძებნელად დავტოვე... კიდევ ერთხელ ვიმეორებ, შემეძლო, მილანში დავრჩენილიყავი, თუმცა ვიგრძენი, რომ წასვლის დრო იყო. ვფიქრობ, იტალიაში იუვენტუსი მომავალ სეზონშიც დომინანტი იქნება.

შეგახსენებთ, რომ პირლომ, რომელმაც კარიერის დიდი ნაწილი მილანში გაატარა, ხოლო იუვენტუსს კარიერის ბოლო წლებში შეუერთდა, ადრე განაცხადა, რომ ტურინული კლუბი გაცილებით დიდია, ვიდრე მილანი. სწორედ მაშინ განაწყენდა პირველად მილანელი ტიფოზერია.

18 წლამდე ნაკრებმა ევროპა 2 მარცხით დაიწყო

წარუმატებლად დაიწყო საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატში ასპარეზობა.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონს ტალინი მასპინძლობს და ტურნირში მონაწილე 24 გუნდი 4 ჯგუფში გადანაწილებული. პლეი ოფში თითოდან 2-2 საუკეთესო გავა. საქართველო ბ ჯგუფშია უნგრეთთან, ბელარუსთან, ბულგარეთთან, ისლანდიასა და ხორვატიასთან. უნდა ითქვას, რომ არჩილ ჟღენტისა და მიხეილ კობეშავიძის გაწვრთნილმა გუნდმა პლეი ოფში გასვლის შანსი დაკარგა.

ჩვენებმა ჯგუფური ეტაპის პირველი მატჩი ისლანდიასთან 13 ქულით – 79:92 დათმო. ქართველებმა პირველი პერიოდი 20:24 წააგეს, თუმცა მეორეში ისლანდიელებმა ტემპს კიდევ უფრო უმატეს და უპირატესობა 12 ქულამდე გაზარდეს – 48:36. ქართველები ბევრს ცდილობდნენ და მე-3 პერიოდში უკეთესადაც გამოიყურებოდნენ, მაგრამ თამაშის შემოსაბრუნებლად საკმარისი უპირატესობა ვერ მოიპოვეს.

ბოლო მეოთხედის დაწყებამდე ისლანდია 10 ქულით იგებდა და მატჩი ისე ჩაამთავრა, ქართველებისთვის შანსი არ მიუცია.

საქართველოს ნაკრებში 21 ქულით ბომბარდირი ოთარ პერტაია გახდა, საერთო შედეგიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი ნიკა მეცხვარიშვილს ჰქონდა, რომელმაც 17 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. 10-10 ქულა მიითვალეს კახა ჟღენტმა და ნიკა ჩეჩელაშვილმა. რაც შეეხება ისლანდიელებს, მათგან 6 მოთამაშე ასცდა 10-ქულიან ზღვარს.

ნაკრებმა მეორე თამაშიც წააგო, ამჯერად ბელარუს თანატოლებთან 35-ქულიანი სხვაობით, 63:98 დათმო. ბელარუსმა ოთხივე მეოთხედი დამაჯერებლად მოიგო: 18:25, 14:30, 13:19, 18:24.

საქართველოს ნაკრების მხრიდან ყველაზე მეტი, 16 ქულა ნიკა ჩეჩელაშვილმა დააგროვა. ლუკა კალატოზიშვილის აქტივში კი 11 ქულა და 14 ჩაჭრაა.

2 ტურის შემდეგ საქართველოს, ბულგარეთთან და უნგრეთთან ერთად, ორიდან ორი წაგება აქვს. საპირისპირო შედეგი აქვთ ბელარუსს, ხორვატიასა და ისლანდიას.

ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელები მომდევნო შეხვედრას ხორვატიასთან ჩაატარებენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

31 ივლისისათვის

ვერძი – პროფესიული საქმიანობისას ძველ, ნაცად ხერხს მიმართეთ. ველოსიპედის გამოგონება დღეს არ გინდათ. მეტი დრო სასიყვარულო ურთიერთობას დაუთმეთ. **კურო** – იოლად არავის მიენდოთ, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. თავი აარიდეთ შემთხვევით ნაცნობობას. **ტყუპები** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე შემოქმედებითად და, ამავე დროს, მოთმინებით აკეთეთ. **კირჩხიბი** – თქვენი მდიდარი შინაგანი სამყარო დღეს არატრადიციულ გარემოს მოითხოვს. აუცილებლად გამონახეთ დრო თეატრში ან გამოფენაზე წასასვლელად. **ლომი** – ფინანსებს გაუფრთხილდით. დღეს რისკი გამართლებული არ არის. ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. **ქალწული** – კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად. ნავაჭრი იღბლიანი იქნება. საღამოს მეტი დრო ოჯახის წევრებს დაუთმეთ. **სასწორი** – იაქტიურეთ. კარგი დღეა კომერციული საქმიანობისა და ბიზნესკონტაქტებისათვის. **ღრიანკალი** – ახალ საქმეს ნუ წამოიწყებთ. უმჯობესია, თუ ძველ საქმეებს დაამთავრებთ. ერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს. **მშვილდოსანი** – ენერგიის მოზღვავებას გრძნობთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ ხელმძღვანელ პირებთან ახლო ურთიერთობას. **თხის რქა** – საკმაოდ მძიმე დღეა. ნუ გადაიღლებით. ექსპერიმენტების დრო არ არის. **მერწყული** – კარგი დღეა ახალი იდეების განსახორციელებლად. აუცილებლად გაითვალისწინეთ მეგობრის რჩევა. პირად ცხოვრებაში ჯერჯერობით ცვლილებები არ შეინიშნება. **თევზები** – მივლინებებისა და მოგზაურობისათვის შესანიშნავი დღეა. ემოციებს ნუ აჰყვებით. სიმშვიდე შეინარჩუნეთ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

გიგანტურმა ობობამ ავსტრალიელებს რომანტიკული სადილი ჩაუშალა



ავსტრალიაში შეყვარებული წყვილი იძულებული გახდა, ობობას გამო რომანტიკული სადილი შეეწყვიტათ. ფეხსახსრიანების წარმომადგენელს სახელად არაგოგი დაარქვეს, მისი გიგანტური ზომებიდან გამომდინარე.

ობობამ შეყვარებულებს სახლიდან გასასვლელი გადაუკეტა. ლოურენ ენსელის თქმით, ის მეტად აგრესიულად იქცეოდა, როდესაც წყვილი მის გაგდებას შეეცადა.

აღსანიშნავია, რომ ენსელის შეყვარებულს ობობას მოკვლა შუშის კარით სურდა, მაგრამ მან გაქცევა მოახერხა, თუმცა ორი ფეხი დაკარგა. ობობა სახლის ეზოში გაუჩინარდა.

სტივ ჯობსის ქვრივი ხორვატიაში 100 მილიონად ღირებული იახტით ჩავიდა

კომპანია Apple-ს ერთ-ერთი დამფუძნებლის სტივ ჯობსის ქვრივი ხორვატიაში იახტა ვენუსიტ ჩავიდა, რომლის ღირებულება 100 მილიონ დოლარს შეადგენს.

ლორენ პაუელი დუბროვნიკში თავის 19 წლის ქალიშვილ ივასთან და ასევე თავის ბოიფრენდ, ვაშინგტონის ყოფილ მერ ედრიან ფენტისთან ერთად ჩავიდა.

ხორვატიის სანაპიროსთან შენიშნეს თითქმის 80 მეტრიანი იახტა, რომელიც ჯობსმა 2008 წელს შეუკვეთა. მისი დასრულებული სახით ხილვას ჯობსი ვერ მოესწრო. ის 2011 წელს გარდაიცვალა, იახტის აგება კი 2012 წელს დასრულდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სჯანგოხიდი

1 .რკინისა და ნიკელის შენადნობი; 2. ცვარი-...; 3. პოეტი-მომღერალი შუა-აზიაში; 4. მიწის ფართის საზომი ერთეული (ინგლისი, ამერიკა); 5. პატარა ტანის ცხენი; 6. ციფრი; 7. ქალბატონი (ინგლისურად); 8. კათოლიკეთა მღვდელი საფრანგეთში; 9. ფანდი, ხრიკი; 10. სახელმწიფო აფრიკაში; 11. მშვილდ-...; 12. ალპინისტების მარშრუტი, რამდენიმე მწვერვალზე გადასვლა; 13. წვრილმანებში ჩაციება; 14. მდინარის მტაცებელი თევზი; 15. ნუსხა; 16. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 17. მუხის ნაყოფი; 18. ... კლიბერნი; 19. მატადორი; 20. გასეირნება ბავშვის ენაზე; 21. აღლუმი; 22. წილი ბიზნესში; 23. რასაც ყური აღიქვამს; 24. ჯულიეტა ...; 25. რამეთი თავდავიწყებით გატაცება; 26. ცოლ-ქმრიდან ერთ-ერთის შვილი მეორის მიმართ; 27. დენის წინაღობის ერთეული; 28. საწერი ქაღალდის რაოდენობის საზომი ერთეული; 29. უკუსვლა, დაქვეითება; 30. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 31. პატარა მღრღნელი ცხოველი; 32. ჭირვეულობა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ზოფხიტო; 2. გიდი; 3. „ციცკა“; 4. ორღანი; 6. თუთიყუში; 9. „სამაია“; 13. ჭანჭური; 14. ყარყუმი; 15. მარუნა; 17. კელია; 18. ტაბლა; 20. იორი.

თარაზულად: 1. ზაგრები; 5. თართი; 7. ხილნარი; 8. ფიდიასი; 10. სიათა; 11. კოშმა; 12. ახმეტა; 16. „პანეში“; 17. კრეტა; 19. ნუგა; 21. ხუცური; 22. „პირელი“; 23. „რაპიდი“; 24. ფიქალი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. „ბაგიათი“; 2. აფხაზეთი; 3. სტალონე; 5. ლომბარდი; 7. ბულბული; 9. ინფანტინო; 13. დიუპონი; 15. დავოსი; 16. „იბერია“; 18. სპილო.

თარაზულად: 4. ბაბილონი; 6. რეფერატი; 8. „ქინძმარაული“; 10. კაბალიე; 11. „ფინო“; 12. ალონჟი; 14. ოდინი; 17. სტეპი; 19. ცვილი; 20. კრეისერი; 21. ოსლო; 24. ყიზილბაში; 23. კოპტები.

„ნიჭიერი“ რუსთავი 2-დან „იმედზე“ გადავიდა

სახალხო პროექტი „ნიჭიერი“ ტელეკომპანია რუსთავი 2-დან ტელეკომპანია „იმედში“ გადავიდა.

პროექტის პროდიუსერების გიორგი ხაბურზანიასა და დემნა ჯაფარიძის „იმედში“ გადაღებული ფოტოები ინტერნეტში რამდენიმე კვირის წინ გავრცელდა, თუმცა ამ თემაზე მაშინ შოუს პროდიუსერებმა კომენტარის გაკეთება არ ისურვეს.

30 ივლისიდან იმედის სატელევიზიო ეთერში უკვე ტრიალებს სპეციალური ვიდეორგოლი, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ამცნობს, რომ სახალხო პროექტი „ნიჭიერი“ მერვე სეზონს „იმედის“ ეთერში შესთავაზებს მაყურებელს.

ნიჭიერების აღმოჩენა მთელი საქართველოს მასშტაბით 5 აგვისტოდან დაიწყება. პირველი შესარჩევი ტური კახეთში გაიმართება. თელავისა და გურჯაანის შემდეგ ნიჭიერების აღმოსაჩენად შოუს პროდიუსერები პირველ ეტაპზე გორში, ბორჯომში, თიანეთში, ბოლნისში, ქუთაისში ჩავლენ და ყველაზე ნიჭიერებს „ნიჭიერის“ მერვე სეზონისთვის შეარჩევენ.

ჯანეტ ქერდიყოშვილი ლეონარდო დი კაპრიოს წვეულებაზე მიიწვიეს

მის საქართველო 2011 ჯანეტ ქერდიყოშვილი მსოფლიო ვარსკვლავის ლეონარდო დი კაპრიოს გრანდიოზულ წვეულებაზე მიიწვიეს.

ინფორმაცია ამის შესახებ მოდელმა თავად გაავრცელა და ინტერნეტში წვეულებაზე სტუმრობის დამადასტურებელი ფოტოებიც გამოაქვეყნა, თუმცა განმარტებები არ გაუკეთებია, თუ როგორ აღმოჩნდა ჰოლივუდის ვარსკვლავის მიერ გამართულ წვეულებაზე.

მსახიობმა წვეულება სენ ტროპეში უკვე მეოთხედ გამართა. საღამოზე დი კაპრიომ მსოფლიოში ცნობილი მსახიობები და მომღერლები მიიწვია, მათ შორის მადონა, ლენი კრავიტსი, ქეით უინსლეტი, შონ პენი, ტობი მაგგუაერი...

ლეონარდოს მიერ გამართული წვეულება მუსიკალურად მადონამ და ლენი კრავიტსმა გააფორეს და თავიანთი რეპერტუარიდან ყველაზე ცნობილი სიმღერები შეასრულეს.

წვეულება საქველმოქმედო იყო და სხვადასხვა აქტივობას მოიცავდა. ყველაზე შთამბეჭდავი ქეით უინსლეტთან და ლეონარდო დი კაპრიოსთან დაგეგმილი ვახშამი აღმოჩნდა. ვახშამი შემოდგომაზე ნიუ იორკშია ჩანიშნული.

მთლიანობაში ლეონარდო დი კაპრიოს ფონდმა 30 მილიონი დოლარის მოგროვება შეძლო და მთელი თანხა დედამიწის გადასარჩენად დაიხარჯება.

ლიკა ყაზბეგის სახელით მოდელებს ფულს სთხოვენ

სამოდელო სააგენტო „ლიკა ყაზბეგის“ ხელმძღვანელი ლიკა ყაზბეგი აცხადებს, რომ მისი სახელით სოციალურ ქსელში სპეციალური გვერდია შექმნილი და მისი წარმომადგენლები ფოტოსესიაში მოდელებს ფულს სთხოვენ.

ლიკა ყაზბეგი:

– ამ ცხელ ზაფხულს ახალი „სიცხე“ დამემატა! მითხრეს, რომ ამ გვერდიდან ფეისბუქმომხმარებლებს ჩემი სახელით სწერენ და სთავაზობენ ფულად ანაზღაურებას ფოტოსესიაში.

გთხოვთ, ნურავინ წამოეგებით, მათ წინადადებას!. ვინ ვინ და მე კი ზუსტად ვიცი, როგორი ადამიანები ეფარებიან სხვის სახელსა და გვარს და რა მისწრაფებები აქვთ, როდესაც ამგვარი ხერხით ცდილობენ მიზნის მიღწევას. იმის ახსნა არ მჭირდება ალბათ, რომ არანაირ შეთავაზებას არ უნდა დათანხმდეთ მათი მხრიდან.

მე აქ ვარ! ნამდვილი, რეალური ლიკა და ჩემთან, სამოდელო სააგენტოში აქეთ იხდიან ფულს! სახელსა და ავტორიტეტს მთელი ცხოვრება იმისთვის არ ვუფრთხილდები, რომ თაღლითებმა სხვისი ნდობით ისარგებლონ!

თუ დამაკვალიანებთ, როგორ მოვიქცე და რა გავაკეთო მათ შესაჩერებლად, მადლობას გეტყვით. 100 ოქროს ვიხდი მის თავში.

ახლახან მასწავლეს, თუ როგორ უნდა მივუტანო ენა ცუკერბერგს, მისი სივრციდან რომ გააძევოს ეს ფეიკი „ლიკა ყაზბეგი“. მომეხმარეთ რა დარეპორტებაში. 2 და 3 ადამიანი არ ეყოფა. ინსტრუქცია ქვევით დევს.

კორხში მდებარე წმიდა სტეფანეს სახელობის ეკლესიას უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა



ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ კორხში მდებარე წმიდა სტეფანეს – სურბ სტეფანოს სახელობის ეკლესიას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

სურბ სტეფანოს ეკლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში დგას და დარბაზული ტიპის ნაგებობას წარმოადგენს. აშენებულია XIX საუკუნის ბოლოს ტუფის კვადრებით. შესასვლელი დასავლეთიდან აქვს. აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებში სამ-სამი განიერი, თაღოვანი სარკმელია, დასავლეთის კედელში ორი.

აბსიდა ჩაწერილი ნახევარწრის ფორმისაა. მის ორივე მხარეს მცირე სათავსებია. აბსიდის კამარა კიდეში გაკეთებულ მხრებსა და მათზე გადასულ თაღს ეყრდნობა. აბსიდის კედლები და კონქი სარტყლითაა გამიჯნული. აბსიდის ღერძზე ერთი სარკმელია გაჭრილი, რომლის აქეთ-იქით თითო ღრმა ნიშაა. კონქში აკუსტიკისთვის ქვევრებია ჩატანებული. საკურთხეველი ამაღლებულია, მასზე გვერდითა კიბეებითაა ასვლა შესაძლებელი. ამბიონის შუაში ჯვრის გამოსახულებიანი დეკორატიული ქვაა ჩადგმული. საკურთხევლის ჩრდილოეთით და სამხრეთით გაკეთებულ სათავსოებში თაღოვანი კარითაა შესასვლელი. მათაც თითო სარკმელი აქვთ აღმოსავლეთის კედელში. სათავსოების დასავლეთის კედელში დეკორატიული თაღია გაკეთებული, რომელიც კაპიტელებს ეყრდნობა. ტაძრის გრძივ კედლებზე სამ-სამი პილასტრია, რომლებიც კაპიტელებით სრულდება. პილასტრებს შორის დეკორატიული თაღებია. ამ თაღედებში სამგან ფანჯრებია გაჭრილი, დასავლეთ კიდისა კი ყრუა. ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ თაღში სარკმლის ქვემოთ სანათლავია გაკეთებული. მის მოპირდაპირედ სამხრეთ კედელში კი ნიში. დასავლეთის კედელი ორი პილასტრითა და სამი თაღით სამ ნაწილადაა გაყოფილი. შუაში კარია გაჭრილი, მის ზემოთ კი სამრეკლოა დაშენებული. კედელზე ხის პატრონიკე იყო გაკეთებული, რომელზეც ხისავე კიბით ადიოდნენ. კედლები დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით. ორფერდა ხის გადახურვა უნდა ჰქონოდა. იატაკი ქვის ფილებითაა დაგებული, რომლის დასავლეთი ნაწილი გვერდებში ერთი საფეხურით ამაღლებულია.

ტაძრის დასავლეთ კიდეში დადგმული ყოფილა სამრეკლო.

ტაძრის ფასადების მორთულობას წარმოადგენს კარისა და სარკმელთა მოჩარჩოება, დასავლეთის ფასადზე მოცემული პილასტრები და მათ მაკავშირებელი კარნიზი და დიდი რელიეფური ჯვარი. რაც შეეხება ინტერიერს, საკურთხევლის პილასტრებშია ჩადგმული ანგელოზთა გამოსახულებიანი რელიეფები, ასეთივე გამოსახულებებითა და ჯვრის რელიეფებითაა შემკული ნიშები და სანათლავი. დასავლეთის კედლის პიალსტრის ძირში ჩაშენებულია გვიანშუასაუკუნეების საფლავის ქვები რელიეფური გამოსახულებებით.

ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ამოკვეთილია სომხური სამშენებლო წარწერა თარიღით. კიდევ ორი სომხური წარწერა შესრულებულია სანათლავის ჯვრის გამოსახულებებთან ერთად.

ტაძრის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მშენებლობაში გამოუყენებიათ ადრეშუასაუკუნეების სტელა.

ქართულმა ელიტ მოდელ ლუქმა გამარჯვებულები გამოავლინა

ქართულმა ელიტ მოდელ ლუქმა 2017 წლის გამარჯვებულები გამოავლინა.

კონკურსანტთა შორის გამარჯვებულები გახდნენ 17 წლის საბა ჭანუკვაძე და 14 წლის ანა ფურცხვანიძე. სწორედ ისინი წარადგენენ საქართველოს ყველაზე პრესტიჟულ კონკურსზე სამოდელო ინდუსტრიაში.

წელს კონკურსის ფინალში 17 გოგონა და 13 ვაჟი მონაწილეობდა. კონკურსანტები ბაბილო მიუზიკ ჰოლში წარდგნენ ელიტის წარმომადგენლის, ქალბატონი ჯენიფერ მეის წინაშე, რომელმაც თავად დაასახელა გამარჯვებული გოგონა და ვაჟი. გოგონებს შორის საუკეთესო დამწყებ მოდელად დასახელდა 14 წლის ანა ფურცხვანიძე. კონკურსის ფინალში შეირჩა გოგონათა ტოპ-5-ეული: ანა ფურცხვანიძე, ნინა მამულაშვილი, ნინუცა ურუშაძე, მარი ცუკილაშვილი და ნინი ხიზანეიშვილი.

კონკურსის შედეგად ვაჟებს შორის გამარჯვებულად დასახელდა 17 წლის საბა ჭანუკვაძე, დასახელდა ასევე ვაჟების ტოპ-5-ეული: საბა ჭანუკვაძე, გიგა ფაჩულია, დაჩი ლოლუა, ალექსანდრე კაკაბაძე და ნიკა ნასრაშვილი.

წელს, 26 ნოემბერს, ელიტ მოდელ ლუქ ჯორჯია 2017-ის გამარჯვებულები გაემგზავრებიან იტალიის ქალაქ მილანში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ფინალში.

ელიტ მოდელ ლუქი მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული პროფესიული სამოდელო კონკურსია. სწორედ ამ კონკურსმა აღმოაჩინა მსოფლიოში ისეთი ცნობილი ტოპმოდელები, როგორებიც არიან ლინდა ევანჯელისტა, სინდი კროუფორდი, კლაუდია შიფერი, ჟიზელ ბუნდჰენი, ნაომი კემპბელი, ალესანდრა ამბროზიო, ადრიანა ლიმა... ამ კონკურსის ორგანიზატორების განცხადებით, მისი უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აძლევს საშუალებას დამწყებ მოდელებს, მიაღწიონ წარმატებას უმოკლესი გზით, გახდნენ პროფესიონალები და დაიწყონ წარმატებული საერთაშორისო სამოდელო კარიერა. ყოველწლიურად 70 ქვეყნის 800 ქალაქიდან კონკურსში 700.000 მსურველი მონაწილეობს. მსოფლიო ფინალის გამარჯვებულებს ელით სამოდელო კონტრაქტი საერთაშორისო სააგენტო ელიტ მოდელ მენეჯმენტთან და სოლიდური საპრიზო ფონდი.

ელიტ მოდელ ლუქმა საქართველოში წინა წლებში აღმოაჩინა თამარ შედანია, ანა კოვაჩი, მარიტა ჯანაშია, სოფო შერგელაშვილი, ნონიკო კახაძე, ლიკა მეტრეველი, ანასტასია იგონინა, მიშა ტკაჩენკო, ქეთი ლომაძე, გაბრიელ გუგულაშვილი, თათია ახალაია, ლუკა ჯაჯვანი, ბეატრის კლიმენკო და დანიილ ზოლოტარიოვი, რომლებიც უკვე წარმატებით მოღვაწეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი
31 ივლისი

06.30 დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**წინ წარმატებისკენ**" **10.10, 03.25** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენტრო ვეტრინე**" **12.30** "საუკუნის პორტრეტები" **13.00, 04.25** დღის მხ/ფ "**ფეხშიშველი გრაფინია**" (ჰ.ბოგარტი) **15.00** დოკ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი**" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" **22.00** ტ/სერ. "**მთავრობა**" **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **00.00** მხ/ფ "**ბამბიტი**" (მ.კეინი) **01.45** მხ/ფ "**მტირალა ბავშვი**" (მ.ჰემინგუეი)

ტექნიკური მიზეზების გამო არხის პროგრამას ვერ ქთავაზობთ.

08.00, 14.40 სერ. "**ელიფი**" **09.20** სერ. "**პატარძალი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.10** ქრონიკა **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** სერ. "**ღირსების სახელით**" **1** სერ. **17.35** სერ. "**ხაფანგი**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა**" **22.30** სერ. "**ვიკინგები 3**" **1** სერ. **23.30** მხ/ფ "**ცუდი ლეიტენანტი**" **01.40** მხ/ფ "**ელიტარული საზოგადოება**" **03.25** მხ/ფ "**რეიდი 2**" **05.50** მხ/ფ "**ელიზა გრეიფსი: დაწყევლილი საპანე**"

05.30, 18.45 სერ. "**კაცი**" **06.30, 20.03** სერ. "**დესპოტი ქმარი**" **07.30** მხ/ფ **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **09.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** სერ. "**პარსკვლავის დაბადება**" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო**" **15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** მხ/ფ "**უძინარმა მზე**" სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**"

08.00 ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. "**მონკი-2**" **12.00, 21.00** სერ. "**მაფიოზა 5**" **7-8** სერ. **13.00** მხ/ფ "**ექვსი დღე ფვიდი ღამე**" **15.00** სერ. "**ანტიმატერია 8** " **7- 8** სერ. **17.00** სერ. "**ინტერპოლის ოპიექტი 4**" **12-13** სერ. **19.00** სერ. "**ბრეის ანატომია 12**" **11-12** სერ. **22.30** მხ/ფ "**სისხლიანი ალმასი**" **01.05** მხ/ფ "**სიცრუეთა ერთიოგლიოგა**" **03.30** მხ/ფ "**არგო**" **05.45** მხ/ფ "**25 საათი**"

08.00 დოკ/ფ "ცხოვრება ტრანსფორმაციაში" IX ნან. **08.30** სერ. "**ღვრეთების ხელდასხეული**" " **09.20** მულტ/სერ. "დინოფროზი" **09.50** პანორამა **10.40, 13.40, 14.40, 17.40, 21.20, 22.25** ტელემარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 17.55, 19.00, 23.30** ახალი ამბები **11.30** სერ. "**უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები**" მაგელანი I ნან. **12.00, 2.30** მოდი გავიყაროთ **13.00, 04.20** ბიზნესკოდი **15.00** 3-დან 5-მდე **16.25** Hellow თბილისი **18.00, 0.00** ფაბრიკა **19.55** მე რომ ვიყო **20.00, 03.20** პრიორიტეტი **21.30** დე ფაქტო **22.35** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" **1.00** მხ/ფ "**დიდი აფეთქება**"

06.15 ღვთის სახლი "სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი" **06.35** პატერიკი-"მაზიარებელ ადამიანს ბოროტისაგან უფალი იცავს" **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** საკვირაო სახარების განმარტება **10.35** დ/ფ "ველური ბუნება-ღამის მონადირეები" **11.10** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**იპვნანა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.40** ქვიშით ნაამბობი **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვულფი" **15.55** სპექტაკლი "**ილია 120**" **17.30** კლასიკა **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მიწათმოქმედი "დამწყები მეურნე დმანისში" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.25** კვირიაკის სიუჟეტი **20.40** ძილი ნებისა "შვიდფერა ყვავილი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-"არა განიკითხო" **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა "ჯვარი" **22.15** შარავანდედი-"წმინდა აბო თბილელი, მეფე ლაშა-გიორგი IV" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები-"წინასწარმეტყველი იონა"II ნან. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ივერიის ეკლესია "ნიქოზის სამწყსო ჩრდილოეთ კავკასიაში" **00.30** დ/ფ "რამოდენიმე ეპიზოდი რეჟისორის ცხოვრებიდან" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **08.00 - 03.00** ახალი ამბები (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.15 - 02.15** სპორტი (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.30- 02.30** ახალი ამბები მსოფლიო (გამეორება ყოველ ერთ საათში) **07.00, 10.00, 13.00, 19.00, 23.00, 01.00** ბიზნესი **21.00** მთავარი გამოშვება

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

31 ივლისისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4009

ევრო — 2.8110

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1394

100 რუსული რუბლი — 4.0362

ამინდის პროგნოზი 31 ივლისისთვის

1 აგვისტოდან

ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

20 ივლისიდან

შიო გვეტაძე

მონანიება

ქართული დეტექტივი მე-14 ტომი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ანეკდოტი

...

დოღის დაწყებამდე ინსპექტორი საჯინიბოში შევიდა და ხედავს, მწვრთნელი ცხენს რაღაც აბებს აძლევს. ინსპექტორი ეკითხება:

– ეს რა აბებია?

– ეს? უბრალოდ, კანფეტია. თავადაც ვჭამ, აი, ნახეთ და ცხენსაც მივეცი. თქვენც ხომ არ ინებებთ?

– კარგით, მომეცით.

სტარტის წინ მწვრთნელი თავის ჟოკეის ეუბნება:

– მთელი დისტანცია შუაში იყავი, წინ მხოლოდ ბოლო წრეზე გაიჭერი. თუ ფინიშის წინ ვინმე გაგასწრებს, მაგაზე არ ინერვიულო, ეს ან მე ვიქნები, ან ინსპექტორი.

●●●

ლექციაზე პროფესორი სტუდენტებს მიმართავს:

– ახლა კი, მოდით, ვისაუბროთ ერთ ისეთ პარანორმალურ მოვლენაზე, როგორიცაა ერთგულება.

●●●

რუსეთის პრეზიდენტს ჟურნალისტი ეკითხება:

– რა გეგმები გაქვთ იმ დროისთვის, როდესაც პრეზიდენტის თანამდებობას დატოვებთ?

– გარდაცვალების შემდეგ რა გეგმები უნდა მქონდეს! რა ბავშვურ შეკითხვას მისვამთ!

●●●

ერთმა ხუმრობის მოყვარულმა თავის ახლობელს შუაღამისას შეტყობინება გაუგზავნა, რომელშიც ეწერა:

– თავს შესანიშნავად ვგრძნობ!

მეორე დღეს ფოსტით საკმაოდ მძიმე ამანათი მიიღო, გაჭირვებით შეათრია სახლში, გახსნა და ხედავს, შიგნით ლოდი და წერილი დევს. წერილი გახსნა და კითხულობს:

– ეს ლოდი გულიდან მომწყდა, როდესაც შენი შეტყობინება მივიღე!

●●●

მხატვარი შიშველ ქალს ხატავს. ხატვა დაასრულა და მენატურეს ეუბნება:

– სამზარეულოში გავიდეთ და ყავა დავლიოთ.

მენატურემ ხალათი მოიცვა და სამზარეულოში გავიდნენ. ყავა დადგეს და ამ დროს გაიგონეს, რომ კარის საკეტში გასაღები გადატრიალდა. მხატვარი ეუბნება:

– ვაიმე, ჩემი ცოლი დაბრუნდა... ჩქარა გაიხადე!!!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



13 ივლისიდან

ლაშა იმედაშვილი

სამი მკვლელობა ძველ თბილისში

ქართული დეტექტივი ტომი 13

პატრიარქის ზაფხული

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ჯორჯ კლუნის სახე ყველაზე მიმზიდველად აღიარეს

ამერიკელი მსახიობის ჯორჯ კლუნი მსოფლიოში ყველაზე მომხიბვლელ მამაკაცად დაასახელეს. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ლონდონის პლასტიკური ქირურგიის ცენტრის მედიკოსები სახის პროპორციაზე დაყრდნობით, რომელიც იდეალურად ითვლება ოქროს კვეთის ფორმულის თანახმად.

მკვლევრები კომპიუტერული კარტოგრაფიის მეთოდიკას ეყრდნობოდნენ. მისი დახმარებით ცენტრის ხელმძღვანელმა ექიმმა ჯულიან დე სილვამ გამოარკვია, რომ 56 წლის კლუნის სახე 91,86 პროცენტით ემთხვევა ფორმულის პროპორციებს.

– ჯორჯ კლუნს ათწლეულების განმავლობაში მიიჩნევდნენ მსოფლიოს ყველაზე ლამაზ მამაკაცად. შესანიშნავია, რომ ეს სამეცნიერო თვალსაზრისითაც დადასტურდა, – განაცხადა სილვამ.

აღნიშნულ მეთოდიკაზე დაყრდნობით ასევე იდეალურებად იქნენ აღიარებულები სხვა ცნობილი პირების სახის ფორმები. მათ რიცხვში მოხვდნენ მსახიობები ბრედლი კუპერი, ბრედ პიტი, მომღერალი ჰარი სტაილსი, ყოფილი ფეხბურთელი დევიდ ბექჰემი და სხვები.



ბრიტანეთის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელი დასახელდა

ცნობილი გახდა დიდი ბრიტანეთის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელის ვინაობა და ის აღარ არის კეიტ მოსი.

მიღებული შედეგებით, პირველ ადგილზე გავიდა კარა დელევინი. გავრცელებული ინფორმაციით, მისი შემოსავალი წელიწადში 8 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენს, მათ შორის თავისი კონტრაქტების წყალობით ისეთ ბრენდებთან, როგორებიცაა: Chanel, Rimmel და Puma.

ამ სიაში მეორე ადგილზე გავიდა პოზი ჰანტინგტონ-უაიტლი (6,5 მილიონი ფუნტი წელიწადში). მოსი მხოლოდ მესამე ადგილზე აღმოჩნდა წლიური 5 მილიონი ფუნტით.

ტოპ-10-ში ერთადერთი მამაკაცი დევიდ განდია, რომლის წლიურმა შემოსავალმა 4 მილიონი ფუნტი შეადგინა და მეოთხე ადგილი დაიკავა.

ასევე პირველ ათეულში მოხვდნენ ნაომი კემპბელი, ჯორჯია მეი ჯაგერი, ედი კემპბელი, ჯორდან დანი, ერინ ო,კონორი, ლოტი მოსი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კიმ კარდაშიანი და კანიე უესტი მესამედ გახდებიან მშობლები

რეალითი-შოუს ვარსკვლავი კიმ კარდაშიანი და მუსიკოსი კანიე უესტი მომავალი წლის იანვარში მესამედ გახდებიან მშობლები.

აღსანიშნავია, რომ ვარსკვლავურმა წყვილმა სუროგატი დედის მომსახურებით ისარგებლა.

სუროგატი დედის ვინაობა არ სახელდება, თუმცა ცნობილია, რომ ის უკვე ფეხმძიმობის მესამე თვეში იმყოფება.

შეგახსენებთ, რომ კარდაშიანსა და უესტს უკვე ჰყავთ ორი შვილი.

ბრიტანეთის მუზეუმმა ბრილიანტის ბეჭდის დაკარგვა ექვსი წლის შემდეგ აღიარა

კარტიერის 750 ათასი ფუნტი სტერლინგის ღირებულების ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში ექვსი წლის წინ დაიკარგა, ახლახან დარეგისტრირდა, როგორც დაკარგული. ამ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ დაკარგვის თაობაზე მუზეუმის ყოველწლიური ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი.

მუზეუმის პრეს-მდივნის თქმით, მიღებული პროცედურების თანახმად, დანაკარგის თაობაზე შეტყობინება მისი აღმოჩენიდან ხუთი წლის შემდეგ ვრცელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი

თარაზულად: 1. მოწნულყურიანი ჭურჭელი; 4. მთათა სისტემა შუა აზიაში; 7. ჩინეთის დედაქალაქი; 8. ქალაქი პოლონეთში; 12. ნაჭდევებიანი ფოლადის ძელაკი; 13. რძის პროდუქტი; 15. დიდი ხვლიკი; 17. მახრჩობელა გველი; 19. საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოების გაზით უზრუნველყოფა; 20. ბანქო; 21. ძველებური სამხედრო ქუდი.

შვეულად: 1. ტროპიკული ხილი; 2. სიბრძნის, ხელოვნების ქალღმერთი ბერძნულ მითოსში; 3. სპორტის სახეობა; 5. ყაჩაღი კუთხურად; 6. შუქმგრძნობიარე ფირზე საგნის უკუღმა გამოსახულება; 9. ნაღვლიანი განწყობილება; 10. ენათმეცნიერი; 11. ისლამის რელიგიური სისტემა; 14. ... თბილელი; 16. აღლუმი; 18. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-სა და ინგლისში.

შეადგინა ოლივერ კოხიამ